# საქართველო

წლიწადი მეხუთე | ხუთშაბათი, 30 ღვინობისთვე 1919 წ. № 235 | ფასი 3 მან.

ხელის მოწერა მიიღება მხოლოდ სამი თვით და ეღირება 180 მან. თვეში (მხოლოდ ქალაქში) 60 მან. ცალკე № 3 მან. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა — 3 მ. სამგლოვიარო განცხადება თითოჯერ 60 მ. მისამართის გამოცვლა 10 მ. რედაქცია და კანტორა ღიაა დილის 9 საათ. ნაშ. 3 საათამდე.

მისამართი: თბილისი, სასახლის ქუჩა, № 5, ქართული ქარვასლა; ფოსტის ადრესი, თბილისი, ფოსტის ყუთი № 76; ტელეგრამის ადრესი: — თბილისი „საქართველო“.

ტელეფონი № 15—73

ვლადიმერ მიხეილის ძე ჯავახიშვილი ოჯახითურთ აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ თავის ძმისწულის

**ლავრენტი ჯავახიშვილის**

გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება დღეს, ხუთშაბათს, 30 ღვინობისთვეს, ნაშუადღევის 3 საათზე წმიდა ნინოს სასაფლაოზე. ცხედარს გაასვენებენ კირკის ქუჩიდან, № 48

222 1—1

**სახელმწიფო თეატრი**

ოპერა ეფლახიშვილის ხელმძღვანელობით.

დღეს 30 ღვინობისთვეს

**მარგალიტის მაძიებელნი**

**ქართული კლუბი**

ხუთშაბათს, 30 ღვინობისთვეს

გაიმართება საღამო

**ქართულ სიმღერებისა**

მონაწილეობას მიიღებენ ახალგაზრდა მომღერალნი: ქ.ქ. ეკ. ბეჟანიშვილი, სოფიო გაბაშიძე, ნინო ფავლენიშვილი— მაღალიშვილისა. ბ. ბ. ვარდენ ლორთქიფანიძე, მიხეილ თარხან-მოურავი და ანტონ ჭუმბურიძე.

**როიალთან ლიდია გოლდმანისა.**

ადგილების ფასები 3 მან. 10 მან.-მდე. ♦ დასაწყისი საღამოს 9 საათზე.

221 1—1

**ქალაქის განაპირა უბნების მოქალაქენო,**

**მოიყარეთ თავი!**

ქართული ლატარიის საგანგებო კომისია მუსიკოსთა და დეკლამატორთა მონაწილეობით ქალაქის განაპირა უბნების თვალსაჩინო ადგილებში ხუთშაბათს, 30 ოქტ., პარასკევს, 31-ს და შაბათს, 1 ნოემბერს მოაწყობს ლატარიის ბილეთების საჯარო გაყიდვას, რათა ყველას საშუალება მისცეს ბილეთების შეძენისა.

**ლატარიის ბილეთი ღირს 25 მ., კუპონი—5 მ.**

**პირველი მოგება—100,000 მ.; მეორე—50,000 მ.**

ლატარიის გათამაშება მოხდება კვირას, 2 ნოემბერს, სახელმწიფო თეატრში.

224 2—1

სასადილო **„ტაშირი“** სასადილო

(შესხმა—ხოტბა)

„ეკონომია“ – სასადილოსა
დღეს დაეუფლა ძველი ტაშირი
ამერ იმერთა ევროპის სუფრამ
აქ ერთმანეთში შეჰკრა კავშირი.

ტაშის, ზეიმის სასადილოა
ახლად გახსნილი ჩვენი „ტაშირი“
წრის და წოდების ყველა ბელათ
აქ იმართება ლხინობა ხშირი.

პუშკინისეულ ბაღის პირდაპირ
ღამით და დღისით ბრწყინავს „ტაშირი“
და რა ნება აქვს ყველა ქართველსა
ამ ძველ „ტაშირში“ „დასწვას ნახშირი“

როგორც მუდმივი მოსიარულე
გირჩევთ დაჰედოთ ძველებურ „ტაშირს“
და გეფიცებით იავს დაანებებთ
სხვა რესტორანთან ყოფნას და კავშირს.

212—4—4 სტუმარი

1 ხარისხ. **კაფე-პარიზი** 1 ხარისხ.

დამფუძნ. კრების ქ. (ყოფ. სასახლის ქ.) ქართულ კლუბის ქვეშ.

ყოველ დღე: **საუზმე, სადილები, ვახშმები.**

სურსათი უაღრეს ღირსებისაა. კეთება მხოლოდ კარაქზე.

**სადილები** პურით 2 თავი 15 მან.

„ „ 3 „ 20 „

ყოველ დღე მზადდება აზიზი საჭმელები საქართველოს ყველა კუთხისა და ევროპიული. საგანგებოდ გამოწვეულია იმერეთიდან ცნობილი მზარეული. მოწყობილია ცალკე კაბინეტები წვეულებისათვის.

**პროცენტები მსახურთა სასარგებლოდ არა ხდება სტუმრებს.**

რესტორანი ღამის 2 საათამდეა ღია.

პატივისცემით ვარ. გვათუა.

მიხეილის



პლეხანოვის ქუჩა, 91 სახ. უნივერსიტ. გვერდით

!!! დღეს უკანასკნელი დღეა !!!

დღეს, 30 ღვინობისთვეს კიდევ ერთხელ მიხეილის „ალკრეში“ დაიდგმის გრანდიოზული მსოფლიო სურათი 2 სერიათ, 12 ნაწილად, პროლოგით და ეპილოგით ამერიკის სახელგ. ტრანს — ატლანტიკის ტრესტისა

**ჟანნა დ'არკ**

**(ორლეანელი ქალწული)**

ჟანნას დ'არკის როლში ნიუ იორკის თეატრ „მეტროპოლიტენ“-ის პრიმადონა

**ჯერალდინა ფარრარ**

ახლანდელი ახალი ამერიკული სურათი არ უნდა შეშალოთ იტალ. სურ. „ორლეანელ ქალწულთან“ ორ სერიად, რომელიც 9 წლის წინად გამოვიდა და გაიარა თბილისის თეატრებში. ანონსი: ორშაბათს, 17 ღვინობისთვეს, ნაჩვენები იქნება: „ჟანნა დ'არკ“ მეორე სერია.

უზრუნველყოფილი ხართ თუ არა ამ ზამთარს სათბობით?

**თუ არა მაშინ შეიძინეთ ქვა-ნახშირი — შეშის ნაცვლად.**

ქვა-ნახშირი ორჯერ მეტად ძალის სითბოსაა ვიდრე საუკეთესო ხარისხის შეშა და ამასთანავე ჯდება იაფადაც. იხმარება გერმეტიულ და სამზარეულო ფეჩებში. შეკვეთა მიიღება როგორც დიდი ისე პატარა პარტიებით.

მოითხოვეთ მხოლოდ ტყიბულის ქვა-ნახშირი, ნუ შეურევთ სხვა იაფფასიან გელათის ქვა-ნახშირთან. ტყიბულის ქვანახშირს აქვს შვიდი ხარისხი სხვა და სხვა ფასში. ჩვენი ქვანახშირის მიღება მხოლოდ შეიძლება ვაჭრობა მრეწველობის სააგენტოში ინჟინერ ციციშვილთან და ამხანაგობასთან.

1) კუკიის შესახვევში № 5 და 2) მუხრანის № 25. ჩვენ სუბაგენტთან ტერ-პოღოსიანთან, ტყიბულის ქვანახშირის კანტორაში და გრიბოედოვის და კრუზენშტერნისა — № 615. იძლევა შეღავათიანი პირობებით.

მსურველთ მიუტანთ ქვა-ნახშის სახლში.

ტელეფ. № 11 45 215 10—5

**„სამრეკლო“-ს**

**ღვინის გაცყიდვეობა,**

რომელიც იმყოფება ავლაბარში, კახეთის ქუჩაზედ, № 2 კვლავ განვაახლე. გვაქვს ყოველნაირი ახალ-ახალი სანოვაგე დამადგილობრივი მაგარი სასმელები სხვა და სხვა ფირმისა.

2632 3—2 პატივისცემით **ზაქარია ბენდიანიშვილი**

**კინემო მინიონი**

30—31 ღვინობისთვეს და 1-ლ გიორგობისთვის

ჩვენს ეკრანზედ ნაჩვენები იქნება

**წყეულიმც იყოს სილამაზე**

მხატვრული დრამა 5 დიდ ნაწილად.

მარია **კარპის**

**მონაწილეობით**

სეანსის დასაწყისი საღამოს 5 საათზე.

**სახელმწიფო თეატრი**

კვირა, 9 გიორგობისთვე.

**ვასილ ბარნოვის იუბილე**

(1 უ.)

**პირველი ქართული ლატარიის გამგეობა აცხადებს**

იმ აგენტთა საყურადღებოდ, რომელთაც 25 ღვინობისთვემდე არ წარმოადგინეს გაყიდულ ბილეთების ღირებულება და გაუყიდავი ბილეთები,

რომ 31 ამ თვისათვის ინიშნება ფულის წარმოდგენის უკანასკნელი ვადა, რათა 2 გიორგობისთვისთვის შესაძლებელი გახდეს სრული ანგარიშის შედგენა.

(220—4—2)

**ქ. ბათომში**

ნ. საბაშვილის მაღაზიაში იყიდება პარტიობით და წვრილად საუკეთესო ხარისხის ამერიკულ

**რეზინის მაღალყელიანი ჩექმები**

მეტად მტკიცე და კარგი სახმარი ზამთრობით მომეტებულად სოფლებისათვის „გუტაპის უფლებით“.

2636 1—1

## აფხაზეთის საკითხი

ჩვენი მენშევიკური მთავრობა ისევ განაგრძობს ძველს თავის პოლიტიკას აფხაზეთში. განაგრძობს ისეთ პოლიტიკას, რომელმაც დიდი ზიანი მიაყენა აფხაზეთს და კიდევ უფრო დიდი ზიანი მიაყენა ჩვენს სახელმწიფოებრივ იდეას აფხაზეთში. აფხაზეთის თვალში მენშევიკური პოლიტიკა არის სიმბოლო მატყუარობის, უპირობის, სიმბოლო ძარცვა-გლეჯის და ორგანიზაციული მტაცებლობის, სიმბოლო ანარქიისა და სამოქალაქო ომის.

აფხაზეთის მშვიდობიანი მცხოვრებნი, არა ბოლშევიკები და რუსი შოვინისტები, არამედ სრულიად ლოიალური მასსა ასეთმა ჩვენი მენშევიკების არა სახელმწიფოებრივ პოლიტიკამ მრავალჯერ ჩაითრია ისეთს გამოსვლებში, რომელთაც ადგილი არ ექნებოდა, უკეთუ აფხაზეთის მართვა-გამგეობის სათავეში ყოფილიყვნენ არა გამოლაყებული პროპაგანდისტები და წვრილ ფეხა ავანტიურისტები, არამედ გონიერი და სიმედო სახელმწიფო მოღვაწენი.

თითქოს განგებ ვალიზიანებთ და ვაბოროტებთ აფხაზეთის მცხოვრებთ. საქართველოს სახელმწიფოებრივი ინტერესები მოითხოვს აფხაზეთში ისეთი პოლიტიკის წარმოებას, რომელიც კიდევ უფრო განამტკიცებს ქართველ-აფხაზთა მრავალ საუკუნოვან წარსულში გაჭედილს მეგობრულს ჯაჭვებს. ჩვენი პოლიტიკა კი ეს ორი წელია აფხაზეთში მხოლოდ იმას ემსახურება, რომ ეს წარსულის ნაანდერძევი მეგობრული განწყობილება და ინტერესთა სოლიდარობა მოვსპოთ და გავანიავოთ.

არ მოიპოვება აფხაზეთში მცხოვრებთა არც ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი, რომელიც კმაყოფილი იყოს ჩვენი მენშევიკების პოლიტიკით აფხაზეთის შესახებ.

მხოლოდ ჩვენი და აფხაზეთის საერთო მტერნი, ეს რუსეთის ბატონობის მოტრფიალენი, დენიკინელები სხვა და სხვა სოციალისტურ პარტიების ქურქში გამოხვეულნი გულდაგულ უჭერენ მენშევიკურ პოლიტიკას, ვინაიდან მათ კარგად უწყიან, რომ ყოველგვარი პოლიტიკა, რომელიც აშორებს საქართველოს აფხაზეთის მცხოვრებთ, ყოველს საქართველოს მძულვარებას აფხაზეთში, არის იგივე მათი პოლიტიკა და რუსეთის ბატონობის სამსახური. ეს აშკარაა ყველასთვის, ვინც კი აფხაზეთის მდგომარეობას იცნობს. ეს ნათლად დაინახეს თვით ბეცმა ჩვენმა წარმომადგენლებმა აფხაზეთში, როდესაც არა ერთი თავისი მახლობელი თანამშრომელი დაითხოვეს იმისთვის, რომ ისინი აღმოჩნდენ დენიკინის აგენტები.

მაგრამ ხალხის ხმას არავითარი ფასი არ აქვს ჩვენი მენშევიკების „დემოკრატიულ“ მთავრობისათვის. ის მოურიდებლად განაგრძობს აფხაზეთში იმ პოლიტიკას, რომელიც დაგმო ყველამ, გარდა ფანატიკოს მათ ამხანაგებისა და საქართველოს აშკარა მტრებისა

როდესაც ეროვნულ დემოკრატიულ პარტიამ რადიკალურად დააყენა აფხაზეთის საკითხი დამფუძნებელ კრებასა და პრესაში, ყველა დარწმუნებული იყო, რომ ჩვენი პოლიტიკა აფხაზეთში ძირიანად გამოიცვლებოდა. შეკითხვა დამფუძნებელ კრებაში მთავრობისა და მენშევიკების ფრაქციის თხოვნით რამოდენიმეჯერ გადაიდვა. ჩვენ არ გვაქვს საკმაო ცნობები აფხაზეთიდან და მოგვეცით დრო, რომ ეს ცნობები გამოვითხოვოთო. ამავე დროს ეროვნულ-დემოკრატიულ ფრაქციას წინადადებას აძლევდენ— შეთანხმებით შევიმუშაოთ აფხაზეთში სამოქმედო გეგმა და გამოვნახოთ გზა, რომელიც ჩადენილ შეცდომებს გამოასწორებსო და უკმაყოფილო აფხაზეთს დააკმაყოფილებსო. ამისთვის სპეციალური თათბირებიც უნდა გამართულიყო მენშევიკური ფრაქციის წინადადებით. ეროვნულ-დემოკრატიულმა პარტიამ შეიმუშავა ის ღონისძიებანი, რომელიც უნდა მიეღო მთავრობას აფხაზეთის დასაკმაყოფილებლად.

მაგრამ მმართველი პარტია აქაც გადითრია თავის კლანჭებში ჩვეულებრივმა დემაგოგიამ და სექტანტურ პარტიულმა ჯიუტობამ.

როგორ? ეს ხომ უკან დახევა იქნება ჩვენი რევოლიუციონურ პოლიტიკაში, ეს ხომ დაწუნება იქნება წარსული ჩვენი მოღვაწეობისა? და ასეთი ეგოიზმით შეპყრობილი პარტია ველარ ჰბედავს გაბედული ნაბიჯის გადადგმას აფხაზეთის საკითხში. წავიდნენ თითქოს მცირე დათმობაზე, რაც საქმეს არ შველიდა. დაითხოვეს ყოვლად შემძლე ტუმარკინი და გამოიწვიეს მთავრობის წარმომადგენელი ისიდორე რამიშვილი. თითქოს გადაწყვეტილი იყო, აფხაზეთში გაიგზავნებოდა სერიოზული ქვეყნიერი, არა მენშევიკურს წრეებიდან. შემდეგომ ეს მეტად დიდს დათმობათ მოეჩვენათ. დაიწყეს კანდიდატის ძებნა თავიანთ წრეში. მაგრამ, თურმე, ესეც მიუღებელი ყოფილა „რევოლიუციონური მონაპოვარის“ თვალსაზრისით და ეხლა აფხაზეთს უბრუნებენ ისევ იმ რამიშვილს, რომელმაც იქ ყოველივე ააფორიაქა და იქიდან იყო გამოწვეული, როგორც სჩანს მხოლოდ იმისთვის, რომ რამდენიმე სიტყვა წარმოეთქვა თბილისის მიტინგებზე.

აფხაზეთის მცხოვრებთა ერთსულოვანი სურვილი, ჩვენი სახელმწიფოებრივი ინტერესები, საქართველოს სახელი და პრესტიჟი? — ყოველივე ეს უმნიშვნელო რამ გამოჩნდა ჩვენი მენშევიკებისათვის, როდესაც მათ წინაშე დაისვა მათი გამოლაყებული პოლიტიკის დაწუნება თუ მოწონების საკითხი.

ჩვენმა მთავრობამ დაადასტურა თავისი შემცდარი და დამღუპველი მოღვაწეობა აფხაზეთში. მან ხელი მოაწერა მისი აგენტების მავნე მუშაობას. მაგრამ ქართველი ერი ვერ მიბაძავს მას და ვერ მოიწონებს ისეთს პოლიტიკას, რომელსაც შეგნებულად თუ შეუგნებლად აფხაზეთის საქართველოს წინააღმდეგ ამხედრება და მისი საქართველოდან გამოთიშვა აქვს დასახული მიზნად.

აფხაზეთმა უნდა იცოდეს, რომ ქართველი ხალხი ისე უყურებს აფხაზეთის საკითხს და დღევანდელ მისი მმართველების მოღვაწეობას, როგორც თვით აფხაზეთი.

## მთავრობის ცნობების გამო

თბილისის გუშინდელ გაზეთებში დაიბეჭდა მთავრობის განცხადება, რომელიც იძლეოდა საქართველოში ბოლშევიკების მოქმედების მოკლე ისტორიას, მაისიდან დღემდე.

ამ ცნობებიდან სჩანს, რომ ბოლშევიკების ცენტრი, მოსკოვი, ამ უკანასკნელ დროს დიდ ყურადღებას აქცევს განსაკუთრებით საქართველოს ხელში ჩაგდებას. დიდი ძალი ფული და მრავალი აგენტი გამოუგზავნიათ ამ მიზნით. ადგილობრივები და ჩამოსულები თურმე მოქმედებას თანდათან აჩქარებდნენ. ჰკრავდენ ორგანიზაციებს, რათა მწყობრი აჯანყების მოხდენა შესძლებოდათ და ამ აჯანყების დროს ქვეყნის მართვე-

# პირველ ქართულ ლატარიის გათამაშების წესი.

ლატარიის გათამაშება მოხდება ამ წლის 2 ნოემბერს სახელმწიფო თეატრში.

თანახმად მთავრობის მიერ დამტკიცებულ წესდების მეოთხე მუხლისა, გათამაშებას დაესწრებიან: დამფუძნებელ კრების წევრნი, მთავრობისა, ქალაქის, ერობის, სახელმწიფო ბანკის და სხვა საკრედიტო დაწესებულებათა, საქართველოს დეპეშათა სააგენტოს, ადგილობრივ პრესის და სხვა საზოგადოებრივ დაწესებულებათა წარმომადგენელნი.

გათამაშება მოხდება შემდეგი წესით: საგანგებოდ დამზადებულ მაგიდაზე დადგმულ იქნება სამი ურნა;

ერთში იქნება სერიის ნომრები ერთიდან ოთხასამდე.

მეორეში ბილეთის ნომერი ერთიდან ხუთასამდე.

მესამეში—მოგებათა რაოდენობა—ორი ათას სამას ოთხმოცდა ცამეტი ბილეთი. ჟურნალ „ნაკადული“-ს რედაქციისაგან წარმოგზავნილ ბავშთა მიერ ამოღებულ იქნება ერთდროულად ორ პირველ ურნიდან თითო ბილეთი. ამოღებულ სერიისა და ბილეთის ნომრებიანი ლატარიის ბილეთი იქნება მომგებიანი, ხოლო მოგების რაოდენობას გამოარკვევს მესამე ურნიდან ამოღებული ბილეთი.

პირველ ურნიდან ყველა ოთხასი ბილეთის ამოღებისა და მეორე ურნიდან დარჩენილ ას ბილეთის ამოკრების შემდეგ, პირველ და მეორე ურნებში კვლავ ჩაჰყრიან: ერთში ოთხას და მეორეში ხუთას ბილეთს და შემდეგ ბავშვები განაგრძობენ ბილეთების ამოღებას ზემოხსენებული წესით მანამდე, სანამ არ ამოიწურება მოგება მესამე ურნიდან, ი. ი., სანამ არ გამოარკვევენ 2393 მომგებიან ბილეთს.

გათამაშებას შეუძლიან დაესწროს, რასაკვირველია, ფართე საზოგადოებაც, ხოლო, უადგილობისა გამო, თეატრში მხოლოდ იმათ შეუშვებენ, ვინც იმ დღეს, 2 გიორგობისთვეს, თეატრის კასაში შეიძენს ლატარიის ბილეთს. 223 1 1

# უკანასკნელი ცნობები

ბოლშევიკებმა აიღეს სადგ. ზიაბკი, ქ. ბერდიჩევი, ქ. დმიტროვსკი და ქ. კრომი.

იუდენიჩი, კოლჩაკი და დენიკინი ესტლანდიის დამოუკიდებლობის წინააღმდეგი არიან.

არაბეთი ევროპის პროტექტორატის წინაღმდეგაა.

გერმანეთი ყოფილ რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე აღმოცენებულ არც ერთს რესპუბლიკებს არ იცნობს ვიდრე იქ მათში სამოქალაქო ომი არ შეწყდება.

---

ლობა ხელში ჩაეგდოთ. ეს ამბოხება საყოველთაო ხასიათის უნდა ყოფილიყო და ერთსა და იმავე დროს უნდა მომხდარიყო. მართალია ამ სისწორით განზრახვა ვერ განახორციელეს, მაგრამ მაინც შვიდ-რვა სხვადასხვა ადგილას ათი დღის სიგრძეზე, 14 ან, 23—24 ოქტომბრამდე, საჯარო გამოსვლები მოახერხეს. უფრო ძლიერი და ნაყოფიერი ფშათისა და განსაკუთრებით ლაგოდეხისა ყოფილა. ლაძო ცნობით, საკმაოდ დიდი ყოფილა. ათასამდე შრომელი (სოფ. შრომა) გლეხი დისცემია ცეხზაუზს. მორიგე რაზმი დაუპატიმრებია, დაპატრონებია ფოსტა-ტელეგრაფს, დაუპატიმრებია რესპუბლიკის მოხელეები, ოფიცრები, ერობის წევრები და ერობის ბინაზე აღუმართავთ წითელი დროშა ზედ-წარწერით: „ამიერ-კავკასიის საბჭოთა მთავრობა, ლაგოდეხის ადგილობრივი საბჭო“. ყველაზედ ხანგრძლივი ბატონობაც მეამბოხეებს აქა ჰქონიათ—ორი დღე. დღეს ამბოხება ყველგან ჩაქრობილია და სიწყნარე მეფობს. ზოგან-ზოგან მთავრობას მეთაურები ჩაუგდია ხელში; ალაგ-ალაგ მასიური არესტები მოუხდენია.

მთავრობის ზომებმა შედარებით მიზანს ადვილად მიაღწიეს. საზოგადოთ ქართველმა ხალხმა, რევოლუციის ამ სამი წლის განმავლობაში, საკმაოდ დაამტკიცა, რომ მის სულს არ ენათესავება ბოლშევიკური პსიხოლოგია და მეთოდი. საქართველოს სხვა და სხვა კუთხეში მომხდარი ამბოხება, ჩვეულებრივ ბოლშევიკურად რომ ინათლება, არასდროს არ ყოფილა ბოლშევიკური იდეოლოგიით და ბოლშევიზმის მიზნებისთვის ის არც მომხდარა. ეს იყო ან უკმაყოფილება ჯერ ადმინისტრაციისა და ცოტა გართულების შემდეგ, თვით მთავრობის წინააღმდეგ, ან საქართველოს დამოუკიდებლობის წინააღმდეგ წარმოებული ეროვნული გამოსვლები. შინაური იდეოლოგიური ბოლშევიზმი ხალხს ვერ გაიტაცებს, როგორც აქამდისაც ვერ გაიტაცნია, როდესაც რევოლუციური ფსიხოლოგია უფრო აწეულიყო. ხოლო პირველი ორი მობილი, როგორიცაა უკმაყოფილება მთავრობის მიმართ და საქართველოს საწინააღმდეგო ეროვნული გამოსვლები საქართველოში ჩათესლილ მცირე ეროვნული ჯგუფებისა,—ამ ორთაგან განსაკუთრებით პირველი რჩება და იზრდება. ამას ხალხი ძალიან უშიშრად ამჟღავნებს კიდეც. ეს იმდენათ ცხადი და აშკარაა, რომ არა გვგონია, ოფიციალ ლექტორ-პროპაგანდისტებს, რომელნიც მმართველმა პარტიამ აქეთ-იქით დაგზავნა, შეძლებოდათ ამის არ დანახვა და ან არ მოხსენება ფრაქციისათვის. ამ უკმაყოფილების, ამ უნდობლობის ზრდაა დღეს ყველაზედ სახიფათო. ჩვენ ამ გარემოებას არა ერთხელ მივაქციეთ მთავრობის და საზოგადოების ყურადღება, ეს არის მუქარა ჩვენი არსებობისათვის, იგი მეტ და ადვილ გამოსაყენებელი მასალაა მთავრობისა და საერთოდ არსებული რეჟიმის წინააღმდეგ.

იდეოლოგიური ბოლშევიზმიც ამას უცდის და დარაჯობს. აი ეს მუქარა, ეს უნდობლობა-უკმაყოფილება, ეს ამბოხება ხალხისა არ არის ჩაქრობილი, არ არის განელებული. და ამას იარაღით ისე კი ვერ ჩააქრობთ, როგორც ლაგოდეხის, ან თელავის გამოსვლები ჩააქრეთ. მას რესპუბლიკა ასე ადვილად შექმნილი მთავრობის საერთო პოლიტიკით, იმით რომ მთავრობამ აქამომდე უფლება და სამართალი ვერ დაამყარა, რომ მან აქამომდე ვერ განამტკიცა თავისი ხელმწიფება, რომ ვერ უზრუნველჰყო იდეოლოგიით და, მაშასადამე, ვერც ფაქტიურად კერძო ქონება, კერძო თაოსნობა ეკონომიურ საქმიანობაში, იმით რომ ვერ მოაგვარა ვერც ერთი ეკონომიური თუ სასურსათო საკითხი, რის შედეგად ქვეყანა ეკონომიურ კრიზისში ჩაფლა და დამშევის ზონაში უფრო და უფრო ღრმად შედის, და იმით რომ ხალხს არც სამეურნეო იარაღი აქვს, არც ტანის სამოსი, არც ფეხსაცმელი და არ იცის, თუ რა უყოს ღირებულება დაკარგულ ბონებს. როგორ შეიძლება, ამ პოლიტიკის ნაყოფი—ხალხის კანონიერი უკმაყოფილება—იარაღით ჩავახშოთ, ან გამოვასწოროთ. საჭიროა უარყოფა დღემდე წარმოებულ პოლიტიკის; საჭიროა საერთო პოლიტიკური კურსის შეცვლა; საჭიროა ამაღლება ფართე სახელმწიფოებრივ შეგნებამდე, გრძნობამდე და ხასიათამდე; საჭიროა, რომ მთავრობა და მმართველი პარტია კი არ მეწვრილმეშეობდეს, არამედ ხელმწიფობდეს. შეიძლებთ ამას?—იქნებ ქვეყანა სამშვიდობოს გაიყვანოთ, ვერ შესძლებთ ამ მსხვერპლის გაღებას?—დაღუპავთ ქვეყანას, დაკარგავთ დამოუკიდებლობას.

ან ერთი, ან მეორე.

ამოირჩიეთ!

# პრესსა

**ისევ ლორზედ და „აშხატავორზედ“**

„აშხატავორს“ (№ 227) მთლიანად გადაუთარგმნია გაზ. „საქართველოს“ მე 232 ნომერში დაბეჭდილი შენიშვნა: „აშხატავორის საპასუხოდ“ და ბოლოს შემდეგ კომენტარიებს უკეთებს:

„წონასწორობა დაკარგულს „საქართველოს“ ავიწყდება, რომ „დათმობა“ შეიძლება მხოლოდ იმისა, რაც შეადგენს მის უდავო საკუთრებას.

ლორი არასდროს არ ეკუთვნოდა საქართველოს, მაშასადამე „დათმობაზე“ სიტყვის თქმაც ცარიელი „ილლუზიაა“... და თუ საქართველოელები ყოჩაღები იქნებიან წინააღმდეგი დაამტკიცონ“.

ჩვენ წინანდელი წერილის შემდეგ გვეგონა, რომ „აშხატავორი“ გაჩუმდებოდა „ყოჩაღობა“ არ არის საჭირო, იმის დამტკიცებ სათვის, რომ ლორი ჩვენია და უდავო; ჩვენ მხოლოდ გვაკვირვებს „აშხატავორის“ ავადმყოფური დაჟინება, რომელსაც ბოლო არ აქვს. ყოველ შემთხვევაში ჩვენი პასუხი უკანასკნელია; ლორის საკითხი „აშხატავორის“ დაუკითხავათ გადაწყდება.

# ქრონიკა

**◆ საფრანგეთის მისია.** გუშინ, გაიარა ბათუმიდან თბილისით ბაქოში მიმავალმა საფრანგეთის მისიამ, რომელიც გემ „სერკასით“ მოვიდა ბათუმში. თბილისის სადგურზე მისსიას შეეგებნენ თბილისში მყოფი საფრანგეთის სამხედრო მისსია, საგარეო საქმეთა მინ. წარმომადგენელი და სხ.

**◆ გვარდიის დივიზიონის ჩამოსვლა.** გუშინ, დილით, სოხუმიდან თბილისში ჩამოვიდა გვარდიის ცხენოსანი დივიზიონი.

**◆ გერასიმე მახარაძის ჩამოსვლა.** გუშინ, ერევნიდან თბილისში ჩამოვიდა საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი სომხეთში გერასიმე მახარაძე და რომის პაპის ლეგატი დელფუში.

**◆ ლტოლვილთა თავშესაფართა გადმოტანა.** მანგლისსა და დიდოფლის წყაროში მყოფი სომეხ ლტოლვილთა ბავშვების თავშესაფარები თბილისში გადმოიტანეს. თავშესაფარებში ამ ჟამად 769 ბავშვი იმყოფება.

**◆ რუსეთის ბანკის განყოფილების დახურვა.** როგორც სარწმუნო წყაროებიდან გვატყობინებენ, ბათუმში დაუხურავთ რუსეთის სახელმწიფო ბანკის განყოფილება. მის ბინაზე ინგლისის კოოპერატიული ბანკი მოთავსეს.

**◆ ქართული ბონები ბათუმში.** როგორც ბათუმიდან გვატყობინებენ იქ ბაზარზე ქართული და ამიერ-კავკასიის ბონები ერთნაირად ფასობენ. ქართული ბონები დონის ბონებზე 20 პროც. მეტად ფასობს.

**◆ სომეხთა ეროვნ. საბჭოს შუამდგომლობა.** სომეხთა ეროვნულმა საბჭომ დაადგინა იშუამდგომლოს გვარდიის მთავარ შტაბის წინაშე, რათა გაანთავისუფლონ სიღნაღის სომხური სკოლის შენობა.

ეროვნულმა საბჭომ საქართველოს ქალაქებში და სხ. ადგილას 10 სკოლა გახსნა განზრახულია კიდევ 70 სკოლის გახსნა.

**◆ ქართველ კათოლიკეთა კონფერენცია.** 9 გიორგობისთვეს თბილისში შესდგება ქართველ კათოლიკეთა კონფერენცია სხვა და სხვა სარწმუნოებრივ საკითხების განსახილველად. კონფერენციაზე აირჩევენ აგრეთვე დელეგატებს რომში გასაგზავნად.

**◆ ბ-ნ სმიტის ჩამოსვლა.** 26 ოქტომბერს ბათუმიდან თბილისში ჩამოვიდა ბათუმში ინგლისის ბანკის მმართველი გენერალურ შტაბის კაპიტანი ნ. ს. სმიტი საქართველოს მთავრობასთან ფინანსიურ საკითხებზე მოსალაპარაკებლათ.

**◆ პოლონეთის და უკრაინის წარმომადგენლებმა** ბ. ბ. ოსტრიავსკიმ და კრასკოვსკიმ ინახულეს საგარეო საქმეთა მინისტრი ევგენი გეგეჭკორი და ხანგრძლივ ესაუბრნენ.

**◆ საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე მომხდარ ინციდენტების გამოსარკვევად.** შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის დირექტორი გაემგზავრა ლაგოდეხს იმ კომისიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად, რომელსაც მინდობილი აქვს საქართველო-აზერბაიჯანის საზღვარზე მომხდარი ინციდენტების გამორკვევა.

**◆ გენ. ნ. ნ. ბარათოვი.** მისი მდგომარეობის გაუმჯობესების გამო ექიმთა რჩევით, საბოლოო გამოსაკეთებლად გაემგზავრა ბათუმს, რომლის კლიმატიური პირობები ხელსაყრელია მისი ჯანის აღსადგენად.

— გენ. ბარათოვის შუამდგომლობის თანახმად, სამხრეთ რუსეთის შეიარაღებული ძალთა მთავარ-სარდლის გენ. ლეიტ. დენიკინის მიერ დანიშნულია ერთ დროული დახმარება გენ. ბარათოვზე თავდასხმის დროს დაღუპულ—შოფერთა ვასილ ჟღენტიშვილისა და შ. სამათაძის ოჯახების სასარგებლოდ, აგრეთვე მოკლულ პოლკ. ს. ალხავის ქვრივისათვის—5,000 მანეთი თითოსთვის.

**◆ ფქვილი ფულის ნაცვლად.** პირობით, დადებული გზათა სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორის ინჟ ჰიჯინძის მიერ ამერიკულ მისიასთან დადებულ პირობებით. სხვა და სხვა გასამრჯელოსი სასარგებლოდ მისია ვალდებულია გასცეს ბათუმში საქარ. რკინ. გზ. მოსამსახურეთათვის ყოველთვიურად 400.000 ფუთი კანადის ფქვილისა ფუთი 160 მანეთის ანგარიშით.

**◆ ვახტანგ ბარნოვის საიუბილეო** კომისიის მორიგი სხდომა დანიშნულია პარასკევს, 31 ღვინობისთვეს, რესტორან „ანნონას“ ბინაზე, საღამოს შვიდ საათზე.

**◆ გიაურ-არხის მამული.** გიაურ-არხის სახელმწიფო მამულის ექსპლოატაციის საორგანიზაციო გეგმის შესადგენად ბორჩალოს მაზრაში მიწადმოქმედების სპეციალური კომისია გაემგზავრა.

**◆ გეოლოგიური გამოკვლევა.** სამთო სამმართველოს მიერ დასავლეთ საქართველოს მიდამოებში გაგზავნილმა გეოლოგიური კომისიამ აღმოაჩინა: ქუთაისის ახლოს ბარიტი, წყნარწმინდის მიდამოებში ცემენტის ქვა, სადმოლისთან ასფალტოსი და ოსეთში ტყვია.

**◆ ახალი წიგნი.** რედაქციამ მიიღო სიღნაღის სამაზრო აგრონომის დ. სამადაშვილის მიერ შედგენილი წიგნაკი „თესლი, მისი მნიშვნელობა მოსავლიანობისთვის და დამზადება“.

**◆ ქარხნებიდან შემცირება.** სამ უკანასკნელ თვეში სილაქაძის თამბაქოს ქარხნიდან დაუთხოვნიათ 180 მუშა. თამბაქოს სხვა სამ ქარხანაში აპირებენ 180 მუშის დათხოვნას.

— ქალაქთა კავშირმა ნედლი მასალის სიმცირის გამო შესწყვიტა ფეხსაცმელების წარმოება და მუშები დაითხოვა. ადელხანოვის ფეხსაცმლების ქარხნიდან 70-მდე მუშა დაითხოვეს.

**◆ თბილისის კვანძის ცენტრალური კულტურულ-განმანათლებელი კომისია** სთხოვს რკინისგზელებს, მსურველებს მობრძანდნენ დღეს, ხუთშაბათს, 30 ღვინობისთვეს, საღამოს 5 საათზე ნაძალადევის თეატრში და ჩაეწერნენ რკინისგზელ მომღერალთა გუნდში, რომელიც ხელმძღვანელად მოწვეული კომპოზიტორი ნ. სულხანიშვილი შეუდგა კიდეც გუნდის მოწყობას.

**◆ ტელეგრაფის და ტელეფონების უფროსის განცხადება.** ფოსტა-ტელეგრაფის ოლქის უფროსი გვთხოვს გამოვაცხადოთ შემდეგი: ვაცხადებ აბონენტების საყურადღებოდ, რომ კიროვნის, პეტროგრადის და დიდი-მთავრის ქუჩების რაიონებში მიწაში მყოფ ამიაკის მარილის ქიმიური ზეგავლენით დაზიანდა ამ რაიონში მიწაში გაყვანილი ბაგირების (კაბელების) [illegible] და სისველე შეწვია ტელეფონების მუშაობის შეფერხება. ტელეფონების წესიერი მოქმედების აღსადგენად მუშაობა სწარმოებს დღე და ღამე.

**ქალაქის გამგეობაში.**

**◆ საპნის ქარხნის სასურსათო განყოფილების გადაცემა.** თანახმად გამგეობის წევრის ფანიაშვილის მოხსენებისა. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ეთხოვოს ცენტრალ. სასურსათო აბჯოს რათა მისი კუთვნილი საპნის ქარხანა მთელი ინვენტარით გადასცეს საწარმოვოდ ქალაქის გამგეობასთან არსებულ სასურსათო განყოფილებას.

**◆ მატერია ტრამვაის მუშებისათვის.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა შეიძინოს კოოპერატივთა კავშირისაგან რამდენიმე ასი ათასი მანეთის მატერია ტრამვაის მუშა-მოხელეთათვის.

**◆ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ შუამდგომლობა.** გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქციამ შუამდგომლობა აღძრა ქალაქის გამგეობის წინაშე, რათა ხსენებულ გაზეთში მოთავსებული განცხადებები განთავისუფლებულ იქმნენ საქალაქო გადასახადებისაგან. გამგეობამ შეუძლებლად სცნო შუამდგომლობის დაკმაყოფილება.

**◆ ქალაქთა კავშირის შუამდგომლობა.** საქარ. რესპუბლიკის ქალაქთა კავშირმა შუამდგომლობა აღძრა ქალაქის გამგეობის წინაშე, რათა ყველა მისი სავაჭრო დაწესებულებანი განთავისუფლებულ იქმნენ სანიტარული გადასახადისაგან. გამგეობამ არ დააკმაყოფილა მათი შუამდგომლობა.

**◆ სანიტარულ გადასახადისაგან განთავისუფლება.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა სიღარიბის გამო გაანთავისუფლოს, სანიტარულ გადასახადისაგან „ევანგელის ლიუტერანის“ საზოგადოება.

# სამხატვრო ქრონიკა

**გ. ლეონიძემ.** სთარგმნა გუსტავ ფლობერის „ეროდიდე“.

**ქართული თეატრი.** ქართული დასი, ბ. ვალ. გუნიას მეთაურობით უკვე შეუდგა მუშაობას. ჯერ-ჯერობით დასი ჰმართავს ორ წარმოდგენას კვირაში ქართულ კლუბის თეატრში, ხოლო ახლო მომავლისათვის ბ. გუნიას აქვს მოლაპარაკება სახელმწიფო თეატრის კომისართან და ოპერის ანტრეპრენიორ ბ. ეველახიშვილთან, რომ მათ ერთი დღე კვირას დაუთმონ კვირაში ქართულ წარმოდგენებს.

დასში ირიცხებიან: ქ. ბ. აბაშიძე ტასო, ანდრონიკაშვილი ელო, გორდელი. დავითაშვილი ნ., იმერიელი, ლეჟავა ოლღ., ნინონი, ჩერქეზიშვილი ილ. და ჯავახიშვილი ნ. ბ. ბ. აბაშიძე ვასო, აბდუშელი, გუნია ვალ., დადიანი შალვა, იორდანიშვილი, მატარაძე, მეტრეველი, მოსაშვილი, სარაული, ფრანგიშვილი პ., ცაცაშვილი კ., ჩარკვიანი დავ. და ჯიქია ვ.

— ახლო მომავალი რეპერტუარი დასისა: „სტუმართ მასპინძლობა“ ახალი ორიგინალური პიესა ტ. რამიშვილისა და „პადუის დედოფალი“ ოსკარ უაილდისა დასდგამს შალვა დადიანი.

— „არდ ეზიქილი ქალი“ დოდესი, „ანტიგონე“ და „ოიდიპოს მეფეს“ დასდგამს კონ. ანდრონიკაშვილი

— „ღალატი“—ალ. სუმბათაშვილისა დასდგამს ვალ. გუნია.

— „ფუენტე ოვეხუნა“ ლოპე დე ვეგასი დასდგამს ალ. ახმეტელიშვილი.

— დ'ანუნციოს „ჯიოკონდა“—დასდგამს ვახტანგ. გარრიკი და სხვა.

# პროვინციის ცხოვრება

## ქ. ქუთაისი.

— ქუთაისში ჩამოვიდნენ თბილისის საბჭოს მოხელეები, რათა ქუთაისში დაარსონ საბჭო, მაგრამ ბინა ჯერ ვერ იშოვეს.

— ყაჩაღობა იმერეთის სოფლებში სისტემატიურ ხასიათს ღებულობს, სცარცვავენ ყველას, ვისაც რაიმე აბადია. განსაკუთრებით არ ინდობენ მგზავრებს და ტანისამოსსაც კი ხდიან.

ბაჯამეთის მამულში გამგზავრებულმა განსაკუთრებულმა კომისიამ აჯამეთის მამულში დიდი ბოროტ-მოქმედებანი აღმოაჩინა. გაფლანგულია დიდძალი ქონება.

— როგორც სოფ. გოდოგნიდან გვატყობინებენ, ამ დღეებში იქ მთვრალმა მილიციონერებმა სროლა ასტეხეს, უიმისოთ სცემეს მგზავრებს და რამდენიმე მოსახლე აწიოკეს.

## ქ. სოხუმი.

— 19 ღვინობისთვეს ექიმ ვას. ფილიმონოვის ბინაზე შუაღამის მდებში ჩუმრი შეიჭრნენ რამოდენიმე შეიარაღებული პირნი და ხანჯლით ყელი [illegible] იქცნენ.

— 19 ღვინობისთვეს ბოროტ-მოქმედებმა მოინდომეს ქალაქის გამგეობის წევრის ლ. ნოვიკოვის მოკვლა და ორჯერ ესროლეს მაგრამ ვერ მოარტყეს.

# მელიქ-აზარიანცის თეატრის გარშემო

დრამატიული სტუდიის სამხატვრო საბჭომ ქალაქის თავს შემდეგი განცხადება გადასცა:

„თბილისის პრესაში დაბეჭდილი იყო, რომ ქალაქის თვითმმართველობა მელიქ-აზარიანცის სახლში მყოფ თეატრს რეკვიზიციის უპირობს და რეკვიზიციის შემდეგ თეატრი ბ-ონ ევრეინოვს გადაეცემა.

საქართველოს კოოპერატივთა ცენტრალურ კავშირის დრამატიული სტუდიის სამხატვრო საბჭო თავის მოვალეობად სთვლის შემდეგი მოგახსენოთ:

ქართული დრამა, მას შემდეგ, რაც ქართული თეატრი დაიწვა, უკიდურეს მდგომარეობაში ჩავარდა. რესპუბლიკის სატახტო ქალაქში ქართულ დრამას, არამც თუ არა აქვს საკუთარი თეატრი, შექმნილ მდგომარეობის გამო, იგი მოკლებულია საშუალებას იშოვნის თუნდა ქირით მაინც, თავშესაფარი. თავ-შესაფარი არა აქვს არამარტო დრამატიულ სტუდიას, თავშესაფარი არა აქვს ძველ ქართულ დასსაც და დღევანდლამდე თბილისი უსეზონოდ არის. ამავე დროს თბილისში მუშაობს კარგად მოწყობილი რუსული დასი, რომლის განკარგულებაშია არტისტიულ საზოგადოების თეატრი. ეს გარემოება გვაიძულებს წინადადებით მივმართოთ ქალაქს, რომ თუ ქალაქი რომელიმე თეატრის რეკვიზიციას მოახდენს თბილისში, ის გადავიდეს არა ახალ რუსულ დასის ხელში, არამედ ერთ-ერთ ქართულ დასის ხელში, რომელთაც ბინები არა აქვთ.

კერძოდ, დრამატიული სტუდია, რომელსაც ერთი სათამაშო დღე აქვს არტისტიულ თეატრში და არც ერთი დღე რეპეტიციებისთვის, იძულებულია თავისი მუშაობა ან საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბინაზე აწარმოოს, რომელიც სათეატრო მუშაობისთვის არ არის მოწყობილი, ან ქართულ კლუბის შენობაში, რომელიც აგრეთვე თავისუფალი არ არის. ასეთ პირობებში თეატრის რეკვიზიცია და მისი ევრეინოვზე გადაცემა; როდესაც ერთის მხრივ ქართულ თეატრს თავშესაფარი არა აქვს, მეორეს მხრივ კი თბილისის საუკეთესო თეატრში უკვე არსებობს მშვენიერი რუსული დასი, ზედმეტი და მიზანშეუწონელი მფარველობა იქნებოდა ერთის და ინტერესების მიჩქმალვა მეორესი.

ქართული დრამატიული სტუდიის საბჭო იმედოვნებს, რომ ქალაქს სახეში ექნება ზემო-აღნიშნული გარემოება და თუ მელიქ-აზარიანცის თეატრის რეკვიზიცია მოხდა, იგი გადაეცემა საქართველოს კოოპერატივთა კავშირის დრამატიულ სტუდიას. სამხატვრო საბჭო თავის თავს მოვალედ ჩასთვლის ყოველივე მატერიალური ანგარიშები და თეატრის ქირა თავის თავზე მიიღოს“.

# ღია წერილი თბილისის მოურავს

მოქალაქე ბ-ნო ბენია! ეს ერთი კვირაა, რაც გაზეთები უცნაურ ამბავს ავრცელებენ: ვითომც თქვენ ერეკლე მეფის სახელი დაგეგმოთ, იმის სახელობის სკოლისთვის ეს ერეკლეს სახელი წაგეშალოთ და... არა მჯერა!

12 მაისს პირველად გიხილეთ და პირველად მოგისმინეთ. ჩემ გულს სიამე და სიხარული მოეფინა. მხოლოდ მაშინ ვიგრძენ, რომ თბილისი საქართველოს დედა ქალაქია... ეს დიდი ხანია ვიცოდი, მაგრამ, რაც თავი შემისწავლია, ყოველთვის ქართველობა დაჩრდილული იყო. ყოველთვის ყვავყორანი დანავარდობდა და განაგებდა...

მეორედ მოგისმინეთ მცხეთაში 14 ოქტომბერს—მცხეთობას მცხეთაში.

მაშინ ხომ სულ მომიჯადოვეთ. ეკლესიის, სამღვდელოების დამსახურება სამშობლოს წინაშე დაახლოვებით დაახასიათეთ და მადლობით საპატიო ადგილი მიუჩინეთ..

მაშ ისტორიასთან მწყრალად არა ყოფილხართ, როგორც ზოგიერთა ამხანაგები ამას ამტკიცებენ.

მაშ რითი ავხსნათ, რომ თქვენ, მარტის სოც.-დემოკრატ რ. კონიაშვილს მხარში ამოუდექით და შეუფერებელი სიტყვა წარმოსთქვით (გაზეთებში ასე იყო)?!..

არა მჯერა.

მსურს თქვენი გადაჭრილი სიტყვა მოვისმინო, ან ამოვიკითხო...

თორემ რეგვენად მოგნათლავენ და მაშინ ხომ თბილისის, რომელსაც ასე მედგრად მეფე ერეკლე თავს ევლებოდა და შეუნარჩუნა საქართველოს, ღირსი არ იქმნებით...

კიდევ ვამბობ: არა მჯერა!

ერეკლე მეფის სიდიადეზე აღმოსავლეთ საქართველოში დედის ძუძუსთან ერთად ასაზრდოვებს ერეკლეს ამბებით და იმის გმირულ ერისადმი სამსახურით.

უკეთესი დამფასებელი პიროვნებისა ეს თითონ ერია: ერმა დიდი ხანია უკვდავი ძეგლი აუგო მეფე ერეკლეს—პატარა კახს!.. „ალსდევ გმირთ-გმირო ნუ გძინავსო“... გვეუბნება ლექსი... ერეკლე მეფის საგმირო ამბებით სავსეა აღმოსავლეთი საქართველო და იმის ხსენებაზე მზად არის მუხლი მოიდრიკოს.

სახალხო პოეზიას მხოლოდ სამი ეროვნული პირი ჰყავს და ამ სამთაშორის ერეკლე მეფეც არის... გორგასლანი, თამარ მეფე და ერეკლე...

ნუ თუ ამათ სახელებს შეებრძოლებით!

ეს ხომ დონ-კიხოტობა იქნება!..

ერეკლე მეფის უკანასკნელი ნაბიჯი რუსეთის მფარველობის მიღება ერმა ასი წლით განსაჯლა. ქართველ-მთიელებს რომ ჰკითხო, ამას ყველა გეტყვის...

იქნება ერთად ერთ შეცდომა ნაბიჯი, რომელიც იმან გადასდგა ქართველი ერის საკეთილდღეოდ, ეს რუსეთის მფარველობის მიღება იყო, მაგრამ ეს ხომ ხალხმა აპატია თავის საყვარელ გმირს და ასე გაამართლა:

„მხოლოდ ასი წლით გადასცა საქართველო რუსთ ხელმწიფეს, რათა მოეღონიერდეს ერიო“...

როგორც თბილისის მოურავი, მოვალე ხართ ეს იცოდეთ, და, თუ არ იცით, ეს შეუწყნარებელია. თუ იცით და მაინც მეფე ერეკლეს სახელის წინააღმდეგ გამოილაშქრეთ, აღარ ვიცი, რითი აგხსნა?!.

სხვა ერნი ამისთანა გმირობას სათაყვანებელ ძეგლს აუშენებდნენ დედა ქალაქში, და ჩვენ კი რას ვხედავთ?!

იმის სახელს სკოლასაც აღარ ვარქმევთ...

არა მჯერა!.. მესამედ ვამბობ.

იმედი მაქვს, საყოველთაოდ გამოაცხადებთ...

# მოქალაქენო! ეჩქარეთ ლატარიის ბილეთების შესაძენად

| მოგება—100.0000 || მოგება—50.0000 და სხ.

მომგებთა გასატუმრებლად გადადებულია **ნახევარი მილიონი მანეთი** ბილეთი ღირს 25 მან. კუპონი ღირს 5 მან.

ლატარიის გათამაშება მოხდება სახელმწიფო თეატრში 2 გიორგობისთვეს,

ლატარიის კანტორა: დამფუძნებელ კრების ქ. (ყოფილი სასახლის) № 5, ტელ. 7-61.

(219—6—3)


ცხადებთ, რომ გაზეთებში ატეხილი აურზაური ერეკლე მეფის სახელის და თქვენს გარშემო, რაღაც გაუგებრობაა...

ხოლო თუ ეს სამართლია, მაშინ უმორჩილესად გთხოვთ, 19 მაისს, დაპირება „ერთ-ერთ ქართულ სკოლას თქვენ სახელს ვუწოდებთო", სისრულეში არ მოიყვანოთ, და თუ მოიყვანეთ, გთხოვთ, ეხლავე წაშალოთ...

**შ. არაგვისპირელი.**

## სასამართლოში

**ბონების დასამზადებელ ექსპედიციიდან ფულის მოპარვის საქმე.**

ღვინობისთვის 25-ს, საგანგებო რაზმის უფროსს აცნობეს, რომ ბონების დასამზადებელ ექსპედიციიდან წაღებულია 296,000 მანეთის ათ თუმნიანები. რაზმის უფროსმა კედიამ ექსპედიციის დათვალიერების დროს აღმოაჩინა, რომ მომპარავი ოთახში ვერსადან შეიპარებოდა და მოპარვა შიგვე იყო მოწყობილი. აგრეთვე ნახეს, რომ თვით იმ შკაფის (რომელშიაც ფული იყო) რკინის ბადე იყო გაჭრილი და ზედ პატარა ფიცარი ჰქონდა მიფარებული. ეჭვი აიღეს თვით მოსამსახურეებზე და დააპატიმრეს: ივ. ლევჩენკო, ივ. ჩურბანოვი, ივ. ტიურენკოვი, ალ. ბუიანოვი, იას. ვაცაძე, დავ. ალსაბაძე, სევ. ჩანჩალიშვილი, ელიზ ჩი-[illegible]

[illegible]

1918 წელს, [illegible]

[illegible]

## სკანდალი სოხუმელ სოციალისტთა „კავშირში"

ჩვენი გაზეთის მკითხველებს [illegible]

სურვილით გატაცებულნი, ხმას აძლევენ სოციალისტთა კავშირის კანდიდატებს, მოითხოვდნენ მხოლოდ ერთ ადგილს—ქალაქის თავისას, მაგრამ, როცა სოციალისტებმა გამგეობის წევრები გაიყვანეს, ქალაქის თავის თანამდებობაც მოინდომეს,ისიც არ დაუთმეს უმრავლესობის წარმომადგენლებს, რომლებსაც, თუმცა ხმის უმეტესობით შეეძლოთ გაეყვანათ თავის კანდიდატი, მაგრამ უკანასკნელმა საერთო თანხმობა მოითხოვა, რათა ერთხმად ყოფილიყო არჩეული. სივსტია რამიშვილის არჩევა დახმარებით და საქართველოს მთავრობისაგან უსაზღვრო ნდობით აღჭურვილი ისიდორე რამიშვილის სიტყვიერი ახსნა განმარტებით, არჩეულ იქნა სოხუმელებისათვის სრულიად უცნობი, საქართველოდანაც რუსეთში დიდი ხნის გადახვეწილი ა. მუჯირი. ასარჩევ კაცს არ აუხსნეს, არც გააცნეს საქმის გარემოება: ქალაქის თვითმართველობაში მას არას დროს არ უმსახურნია, თვითონ ის პროფესიით მასწავლებელი იყო; ყველა არჩეული სოციალისტები გამოუცდელი და საქმის უცოდინარი აღმოჩნდნენ როცა ასეთ პირობებში არჩეული ქალაქის თავი ქალაქის მრავალნაირ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებას შეუდგა ერთად ერთ წყაროდ ფულის აღვილად საშოვნელად დაინახა თუთუნის გატანის უფლების [illegible]

## აზერბაიჯანი

[illegible]

## რუსეთი

[illegible]

[illegible]

კომისიასთან ერთად სურსათით, საჭურველითა და სხვა საჭირო მასალებით სრულიად აშკარა საქმეა.

იაპონიას სწადია მეზობლად ნახოს დიდი დემოკრატიული რუსეთი, სადაც როგორც იტალიაში თითოეულს საშუალება ექნება ისარგებლოს სამოქალაქო უფლებებითა და სადაც ადგილი არ ექნება პოლიტიკური პარტიების დამღუპველ ბრძოლას.

იაპონია სიხარულით მოელის რუსეთის დამფუძნებელ კრებას, მაგრამ ამ საქმეში პრაქტიკულ ნაბიჯების გადადგმის დროს იგი იხელმძღვანელებს ისევ ანტანტის პოლიტიკით.

**დამოუკიდებელი ლიტვა და დენიკინი**

დენიკინის მთავარსარდალს ადესაში წარუდგა ლიტვის დელეგაცია თავისი მისამართით. გენერალმა მისამართი არ მიიღო და განაცხადა, რომ ის არ იცნობს ლიტვის დამოუკიდებლობას.

## სახალხო უნივერსიტეტი

არც ერთ ქართულ განყოფილებებში 1 გიორგობისთვემდის მეცადინეობა არ იწარმოებს.

წინასწარი მუშაობა სწარმოებს ახალ ძალების, გამოცდილი და საქმისთვის გამოსადეგ ლექტორთა გამონახვისათვის. ორი თვით გასაწესრიგებელია ლექციები ოცდაათ ლექტორთა შორის, რვა ქართულ განყოფილებებში, რომლის შემდეგ ე. ი. 1 ნოემბრიდან განახლებული მუშაობა დაუბრკოლებრივ იწარმოებს ყველა განყოფილებებში. მანამ-კი განყოფილებების წარმომადგენელთა უნდა შეეცადონ რაც შეიძლება მეტი მსმენელნი ჩასწერონ თავიანთ რაიონებში და ამ ცნობებით, ხუთშაბათს, 30 ოქტომბერს, საღამოს 6 საათზე ყველა ახალი და ძველი ლექტორი და განყოფილებათა წარმომადგენელნი უნდა გამოცხადდნენ მათ შეერთებულ კრებაზე. ცენტრალურ განყოფილებაში. (პლეხანოვის ქ. სახლი № 123.)

## სირია ევროპის პროტექტორატის წინააღმდეგ

**ლიონი**, ოქტ. 27 ბერლინიდან მიღებული ცნობით, ლატვიის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ულმანი გადადგა.

**ლიონი**, ოქტ. 27. ლონდონიდან პარიზში მოსულმა არაბეთის ემირმა ამერიკელ ჟურნალისტებთან საუბარის დროს განაცხადა, რომ არაბეთის ხალხი არ აღიარებს სირიის გაყოფის შესახებ 1916 წ. ინგლის საფრანგეთის შორის დადებულ ხელშეკრულებას. „ჩვენ ავიღებთ უფრო ადრე იარაღს და ვიბრძოლებთ უკანასკნელ კაცამდე და ევროპის პროტექტორატს კი არ ვაღიარებთ. ჩვენ მოვითხოვთ, რომ ჩვენი უფლება არ იქნეს დარღვეული და სირია დარჩეს განუყოფელი და დამოუკიდებელი

## პოლონეთი და უკრაინა

(რადიო-ცნობა)

პოლონეთსა და უკრაინის შორის მოხდა შეთანხმება ყველა საკითხებში, ბოლშევიკების წინააღმდეგ შეერთებულის ძალებით საბრძოლველად.

თანახმად ამ შეთანხმებისა, პოლონეთმა არ უნდა შეიყვანოს თავისი ჯარი, პეტლიურას მიერ დაკავებულ ადგილებში, რომელიც, თავის მხრივ, უარს აცხადებს ყოველივე პრეტენზიაზე აღმოსავლეთ გალიციაში.

## კოლჩაკის გადადგომა

[illegible]

## სამხედრო მასალა იუდენიჩისთვის

[illegible]

## სპარსეთის შაჰი

სპარსეთის შაჰის ოფიციალური ლონდონში მიღება დანიშნულია 31 ღვინობისთვეს. (აშხ.).

## მუსტაფა ქემალი და ოსმალეთის ახალი კაბინეთი

„ანატოლიის და რუმელიის ეროვნულ ძალთა სარდალი" მუსტაფა ქემალ ფაშა დეპეშაში, რომელიც გაგზავნა ოსმალეთის ახალ მინისტრთა კაბინეთის სახელზე ამბობს, რომ იგი მზად არის დაეხმაროს კაბინეტს ერის ბედ-იღბლის უზრუნველსაყოფად. მაგრამ რადგან ახალ კაბინეთში არიან ორიოდე ძველი მინისტრები, საჭიროდ სთვლის შემდეგი პირობები განაცხადოს: 1) რომ ახალმა კაბინეთმა აღიაროს არზრუმის და სივასის კონგრესებზე შედგენილი ორგანიზაციები, და მათი მიზნების კანონიერობა, 2) რომ პარლამენტის მოწვევამდე კაბინეთის უფლება არ ჰქონდეს არც ერთი გადაჭრილი და ოფიციალურ საქმის შესრულება ერის ბედ-იღბალის შესახებ, 3) რომ საზავო კონფერენციის წევრებად აირჩიონ უნარიანი და სანდო პირები. თუ ეს პირობები მიღებულ იქნება, მაშინ „ეროვნული ორგანიზაციები" რომელთა კანონიერობა და სიძლიერე ცნობილია ანტანტის სახელმწიფოთაგან, უნდა ცნობილი იყვნენ აგრეთვე ოსმალეთის მთავრობის მიერ, რაც ზეგავლენასაც მოახდენს მის პოლიტიკაზე.

## დეპეშები

(საქართველოს დეპ. სააგენ.).

ღვინობისთვის 26.

## ბოლშევიკური ცნობები

**კოლჩაკი და ამერიკის აქციონერები.**

**მოსკოვი.** ოქტ. 28 ფრანგული გაზეთების ცნობით, ამერიკის რამდენიმე მსხვილმა სააქციონერო საზოგადოებამ კოლჩაკის მთავრობას წინადადება მისცა უკანასკნელ ტეხნიკის მიხედვით ახალი რკინის გზას ლიანდაგის გაყვანისა და ქალაქების გაშენების შესახებ. ციმბირის ეკონომიურად დაპყრობის მიზნით. ნიუ-იორკში შესდგა სააქციონერო საზოგადოება, რომელსაც რამდენიმე მილიონის თანხა აქვს. კოლჩაკმა ნება დართო ამერიკელებს დასახულ მიზნების განსახორციელებლად.

**სამხედრო მოქმედება.**

**სამხედრო ცნობა.** გატჩინოსკენ მკაცრი ბრძოლები გრძელდება. პოლოცკის რაიონში ჩვენმა ჯარმა სად. ზაბკი აიღო და ტბების: სვიადა დოგოე და სტოს ხაზზე გავიდა, ჟიტომირის რაიონში ქ. ბერდიჩევი ავიღეთ. კიევის და ჩერნიგოვის რაიონებში მდგომარეობა უცვლელია. ბრძოლით ავიღეთ ქ. დმიტროვსკი. კურსკისკენ ქ კრომი ავიღეთ, ორიოლის სამხრეთით და აღმოსავლეთით რკინის გზასთან მკაცრი ბრძოლა სწარმოებს; უპირატესობა ჩვენ მხარეზეა. ელეცის სამხრეთ-აღმოსავლეთით ბრძოლით წინ წავიწიეთ, ვორონეჟის რაიონში ჩვენმა ჯარმა მტრის მკაცრი წინააღმდეგობა სძლია და ლისკისკენ უტევს. ნოვოხოპერსკის ჩრდილო-აღმოსავლეთით მკაცრი ბრძოლაა. უსტ-მედვედიცისკენ მტერი ვძლიეთ, სადგურ როგოჟინია ავიღეთ, ტყვეთ წამოვიყვანეთ 200-ზე მეტი კაცი, 22 ოფიცერი, ხელთ ვიგდეთ 6 ტყვიისმფრქვეველი და სხვა დავლა. ცარევის რაიონში ადგილობრივ მნიშვნელობის ბრძოლებია. ურალსკის აღმოსავლეთით 30 ვერსზე ჩვენი ჯარი მდ. ურალის სამხრეთის ნაპირზე გადადის. პეტროპავლოვსკს 60 ვერსით დავუახლოვდით და ბრძოლით დავიპყრეთ მდლობი დუბროვნაია სად. პეტუხოვის ხაზი, წამოვიყვანეთ 200 ზე მეტი ტყვე და ხელთ ვიგდეთ ტყვიისმფრქვეველები. იალუტოროვის რაიონში იშიმის რკ. გზას ორივე მხარეს გრძელდება ჩვენი ჯარის მარჯვე წინსვლა რესპ. რევ. სამხ. საბჭოს სამხ. კომისარის თანაშემწე.

**მოხალისეთა მთავრობა ესტლანდიის დამოუკიდებლობას არ ცნობს.**

**რეველი** ოქტ. 27. ესტონიის ჯარის მთავარსარდალმა შვეციის გაზეთების კორესპონდენტს განუცხადა, რომ პეტროგრადის ფრონტზე ბოლშევიკებმა დახმარება მიიღეს. იქ მკაცრი ომი სწარმოებს. ბოლშევიკების ჯარი კარგად არის მოწყობილი და ჩაცმული. რაც შეეხება ესტონიის მიერ იუდენიჩისთვის დ ხმარების აღმოჩენას, ამ საკითხში სერიოზული დაბრკოლებაა. იუდენიჩი, კოლჩაკი და დენიკინი ესტლიანდიის დამოუკიდებლობას არ აღიარებენ. ბოლშევიკები ესტლიანდიაში ავრცელებენ პროკლამაციებს, სადაც აღიარებენ ესტონიის დამოუკიდებლობას ნუ თუ ესტონელები ბოლშევიკების წინააღმდეგ მხარს დაუჭერენ იუდენიჩს, რომელიც არ აღიარებს ესტონიის დამოუკიდებლობას.

## გერმანული პრესა

„დოიტშე ალგემაინე ცეიტუნგ"-ში ერთი დიპლომატი აცხადებს, რომ მოკავშირეთა მოქმედება ბალტიის მხარეში გერმანიის წინააღმდეგ უფრო დამყარებულია იმ რწმენაზე, რომ იუდენიჩი უეჭველად გაიმარჯვებს. თუ გინ. იუდენიჩის დამარცხების გამო მოკავშირენი მოისურვებენ, რომ გერმანიის ჯარი ბალტიაში დარჩეს, გერმანიის მთავრობამ უნდა განაცხადოს, რომ გერმანიის ჯარის იქ დარჩენა საჭირო არ არის და რაც შეიძლება ჩქარა უნდა იქნეს იქიდან გამოყვანილი. რაც შეეხება რუსეთში რევოლიუციონურ პროცესს, გერმანია ნეიტრალური უნდა დარჩეს, მით უმეტეს, რომ რუსეთის პოლონეთის ნაწილიდან გერმანიის მონაწილეობის მიღება შეუძლებელია. სწორედ ასევე გერმანიამ არ უნდა აღიაროს რუსეთის არც ერთი მთავრობა, ვიდრე იქ სამოქალაქო ომი არ შესწყდება. 1918 წლის მეორე ნახევარში დამოუკიდებლები აგრეთვე ურჩევდნენ მთავრობას ზავზე პირადათ ურჩევდა ამას და აღნიშნავდა, რომ როზა ლუქსენბურგი და ლიბკნეხტიც ამ აზრის იყვნენ.

ფიქრობენ, რომ ფლესინგში აჯანყების მიზეზი იქ გერმანულ ჯარის გაგზავნა იყო. საქმე იმაშია, რომ უკანასკნელ კვირაში უმუშევართა მოუსვენარმა ელემენტებმა გამოიწვიეს არეულობა, რომლის ჩასაქრობადაც იქ ერთი ბატალიონი გაიგზავნა. სრულიად უსაფუძვლოა იმის შიში, ჯარის იქ ყოფნა გავლენას იქონიებს ხმის მიცემაზე.

გერმანიის მთავრობამ პროტესტი განაცხადა იმის გამო, რომ ლეიტენანტი (გვარი გაუგებარია) დაიჭირეს მძევლად ვიდრე რეინის დივიზიონი ტყვე ლატიშებს არ გაანთავისუფლებს, —რადგან ეს დივიზიონი გერმანულ სარდლობის ქვეშ აღარ იმყოფება.

ფელდმარშალ ვალდერზეი და მისი შტაბის ოფიცრები აცხადებენ, რომ ავსტრიის ფრონტი წარსული წლის 3 ნოემ. სრულიად დაიშალა. როდესაც ჯარმა გაიგო, რომ ზავზე მოლაპარაკება დაიწყო, შეუძლებელი შეიქნა მათი დაკავება. დროებითი ზავის ცნობა აუცილებელი შეიქნა ზედმეტ სისხლის ღვრის თავიდან ასაცილებლად.

## როსტოვის პრეს - ბიუროს ცნობა

წითლების სამხედრო ბაზები განადგურებულია. ტამბოვსა, კოზლოვსა, გრიაზსა, ელეცსა და ვორონეჟში წითლების მიერ ჯარში გაწვეული 100,000 კაცი დავითხოვეთ და ჩვენ მხარეზე გადმოსულთაგან 3 დივიზია შევადგინეთ. გენ. მამონტოვის რეიდის შედეგებმა ეხლა იჩინა თავი. ბაზების დაკარგვის შემდეგ წითლები იარაღის ნაკლებობას გრძნობენ, ამ ხნის განმავლობაში კურსკისკენ მოხალისეთა ჯარმა 60 კილომეტრით წინ წაიწია; სიმაგრეთა წრე გაარღვია, სექტემბრის 21 კურსკი აიღო და დიდძალი დავლა ხელში ჩაიგდო. 1 კვირის წინსვლის განმავლობაში საერთოდ ტყვეთ წამოვიყვანეთ 17000 კაცი, ხელთ ვიგდეთ 65 ზარბაზანი და 250 ტყვიისმფრქვეველი, კურსკის აღების შემდეგ შეტევა უფრო ვრცელ ფრონტით სწარმოებდა მოსკოვისკენ მთავარ რკინის გზის ლიანდაგზე 3 მხრით. ვორონეჟსა, ორიოლსა და ბრიანსკზე. ვორონეჟსკენ გაიგზავნა ცხენოსანი პოლკები, რომელმაც ოქტომბრის 1-ს ფრონტი გაარღვია და ვორონეჟში 2 მხრით შევიდა: ჩრდილო დასავლეთიდან და სამხრეთ აღმოსავლეთიდან.

**საიდუმლო ხელშეკრულება.**

ამერიკულ გაზეთის „ჩიკაგოს ტრიბუნ"-ის ფრანგული გამოცემა, აქვეყნებს სენსაციურ ცნობას თითქოს იაპონიას, ინგლისსა და საფრანგეთს შეეკრათ ზავი ამერიკის წინააღმდეგ ჩინეთის ურთ-ერთ შორის გასაყოფათ.

**ვ. მეიერხოლდის დატუსაღება.**

ნოვოროსიისკში სისხლის სამართლის მილიციის განკარგულებით შეიპყრეს ცნობილი რეჟისორი ვ. მეიერხოლდი.

## საქართველოს კათოლიკოზი პატრიარქი ლეონიდი აფხაზეთში

წარსულ ენკენისთვეში აფხაზეთში მოხდა მეტად საგულისხმიერო ფაქტი აფხაზთა ეკლესიურად შეერთება საქართველოსთან. ამ გარემოებამ მოითხოვა საქართველოს კათოლიკოზის გამგზავრება სოხუმში. მათ უწმინდესობას თან ახლდენ დეკანოზი ი. კაპანაძე და მდივანი დ. დ[illegible]ვითაშვილი.

16 ღვინობ. კათოლიკოზი თბილისიდან სოხუმს გაემგზავრა ფოთით. მცირედი შეგვიანებით მატარებელი ფოთში მივიდა ღამის 11 ნახ. საათზე. სადგურზე მათ უწმინდესობას დაუხვდა სამღვდელოება და ქალაქის წარმომადგენელნი, რომელთაც გზა გაუთავაზეს მიტროპოლიტის სადგომამდე. დილის 9-ზე იმავ პირებმა უწმინდესი ლეონიდი მიაცილეს ნავთ-სადგურამდე მშვენიერი დილა იდგა. ბუნება თითქოს თანაუგრძნობდა ძვირფასს მგზავრს. ნავთსადგურზე თავაზიანმა ინჟინერმა გ. ანდრონიკაშვილმა განკარგულება გასცა და საათის 10ზე მათი უწმინდესობა თავის ამალით საქართველოს რესპუბლიკის გემით „ტავრიდით", გაუდგა გზას.

სოხუმთან მისვლისას გაისმა ზარბაზნის გრიალი,—ნიშანი ძვირფასი სტუმრის მიახლოვებისა; პირველს მიჰყვა მეორე, მესამე ხმა. შეიქმნა ზღვის ნაპირს ჩოჩქოლი სანაპიროზე მდგომ გემებზე, საამოდ დაფრიალებდნენ საქართველოს ბაირაღები. ბაქანი ხალხით იყო გატენილი; ბულვარზე თავისუფალი ადგილი აღარსადა სჩანდა; სანაპირო ქუჩა ხალხით გაჭედილია. ჩვენი გემი მისრიალდა ნაპირზე. ბაქანის კუთხიდან გამოიმართა ნავი, რომელშიაც გამოჩნდა ფეხზე მდგომი ჭყონდიდელი მიტროპოლიტი ამბროსი და მასთან წინათვე გაგზავნილი დეკანოზი საკათოლიკოზო საბჭოს წევრი კ. ცინცაძე. პირველი ესენი მიესალმნენ კათოლიკოზს. მათ შემდეგ გემში ჩამოვიდნენ აფხაზეთის მთავრობის და ქალაქის წარმომადგენელნი. მიტროპოლიტი და დეკ. ცინცაძე გაეშურნენ ტაძარში მათ უწმინდესობის დასახვედრად. ცოტა ხნის მოცდის შემდეგ ნავი მოართვეს კათოლიკოზსაც. ბაქანზე ასვლისას მას დაუხვდა სასალამო სიტყვით ადგილობრივ ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე ექიმი ა. გრიგოლია. მის შემდეგ წარსდგა სოხუმისქალთა საზოგადოების წარმომადგენელი ქ-ნ ანჩაბაძისა. ორივეს მეუფემ მადლობა გამოუცხადა და გამოსთქვა იმედი, რომ ახლად აღორძინებულ თავისუფალ სამშობლოში ქალთა საზოგადოებაც არ დაზოგავს თავის ძალღონეს, რომ იგი ლირსეულ მემკვიდრედ ჩაირიცხოს ისეთ დიდებულ ადამიანთა, როგორებიც იყვნენ თამარი ნინო და

სხვანი. ამის შემდეგ მეუფე გაემართა ქალაქისაკენ. ბაქანის ორივ მხარეს იდგნენ მოსწავლეები და ჯარები. გაისმა საამო ქართული ჰიმნი. მიმავალ კათოლიკოზს ხალხი თან მისდევდა მის უწმინდესობას სთხოვეს ეტლში ჩაბრძანება, რომელსაც ირგვლივ შემოხვეული მოქალაქენი მისდევდნენ საეპისკოპო ტაძარში, აქ მეუფეს მიეგება ქართული და ბერძნული სამღვდელოება მიტროპოლიტ ამბროსის წინამძღოლობით, რომელმაც შესაფერი სიტყვით მიმართა და აღნიშნა, რომ ეს ის ტაძარია რომელშიც აღდგომა დღესაც კი აკრძალული იყო ქართულ ენაზე სახარების კითხვა. გადახდილ იქმნა პარაკლისი, რის შემდეგ კათალიკოზმა მეტად გრძნობიერ სიტყვით მიმართა დამსწრეთ. შაბათს კათოლიკოზმა ილოცა ტაძარში და კვირას სწირა მიტროპოლიტის თანამსახურებით. თანამწირველად იყვნენ ქართველი, ბერძენი და რუსის მღვდლები. წირვა სწარმოებდა სამ ენაზე. ამ დღეს მათმა უწმინდესობამ მღვდლად აკურთხა ბერძენი ვინმე საბა ლაზარიდი, ხოლო მიტროპოლიტმა რუსი ნიკ.... წირვაზე დამსწრე საზოგადოებას კათოლიკოზმა მიმართა სიტყვით. ორშაბათს, 20 ოქტომბერს, დილის 12 საათზე მეუფე ლეონიდმა ინახულა ადგილობრივი ქართული გარნიზონი, რომელსაც მიესალმა, მიულოცა რომ ბედნიერება ხვდათ თავიანთ სამშობლოს სამსახური; განუმარტა თუ რა ერთგულებით უნდა ემსახურონ ახლად განთავისუფლებულ სამშობლოს, რომ იგი გამტკიცდეს, აღორძინდეს. რადგან გარნიზონში ბევრი მეგრელებიც ერია, მათ უწმინდესობის სიტყვა მეგრულ ენაზე გადასცა ქუთაისელმა მიტროპოლიტმა ამბროსიმ. ჯარისკაცები და მათი ხელმძღვანელები დიდათ ნასიამოვნები დარჩნენ. საათის პირველზე კათოლიკოზი გამოესალმა და აქედან წაბრძანდა სასაფლაოს და ბერძნების ეკლესიის დასათვალიერებლად, საიდანაც დაბრუნდა 2 საათზე.

სამშაბათს, 21 ოქტომბერს, მათი უწმინდესობა თავის ამალით წაბრძანდა ახალ ათონის მონასტერში. წინამძღვარი და ბერები (რიცხვით 600-დე) მიეგებნენ ტაძარში ზარების საზეიმო რეკით; გადახდილ იქმნა პარაკლისი, რომელზედაც ილოცეს საქართველოს მთავრობისა და კათოლიკოზ ლეონიდეს დღეგრძელობისათვის. პარაკლისის გათავებისას მისმა უწმინდესობამ მიმართა მეტად გრძნობიერ სიტყვით და აღნიშნა, რომ ქართველი ერი არასოდეს არ ყოფილა ცნობილი ვისიმე დევნით. ტაძრიდან გამოსვლის შემდეგ დათვალიერებულ იქმნა ყოველივე საყურადღებო. საათის ორზე სტუმრებს მიართვეს საუზმე და სამ საათზე მათი უწმინდესობა დაბრუნდა სოხუმში. მეორე დღეს - 22 ოქტომბერს საღამოს 7 საათზე დანიშნული იყო მიტროპოლიტის ბინაზე კრება, რომელზედაც უნდა დასწრებოდნენ აფხაზეთის მთავრობისა და ქალაქის წარმომადგენელნი. საგანი კრებისა-ახალ ეპარქიის მოწყობა მოწესრიგება. მოსმენილ იქმნა ხარჯთაღრიცხვა ეპარქიის შესანახად. მეტად საგულისხმიერო იყო ეს სხდომა. ეპარქიის შესანახად საჭიროსი მნიშვნელოვანი ხარჯის დაკისრება იყო საჭირო და ერთის შეხედვით ადამიანს უნდა ეფიქრა, რომ სოციალისტური მთავრობა ასე ადვილად ვერ იკისრებდა საეკლესიო საქმისათვის ასეთ ხარჯის გაღებას, მაგრამ სინამდვილეში სულ სხვა დაგვანახვა. თითქოს ყველას დაავიწყდა პარტიული ქინიანობა-ფანატიკოსობა და შეთქმულები ყოფილიყვნენ უსათუოდ მიეშველონ ეპარქიის გამტკიცებასაო. სულ ნახევარ საათში გადასწყვიტეს ის, რაც შეიძლება სხვას მთელ დღის სალაყბოდ ეყოფოდა. ერთხმად გამოსთქვეს აზრი, რომ ეკლესიის საკითხი დღეს ეროვნული საკითხია და მოვალენი ვართ ყველა ზომა მივიღოთ, რომ დაწყებული საქმე შუა გზაზე არ გაიყინოსო. მიტროპოლიტს ამბროსის აღუთქვეს სრული თანაგრძნობა და ნივთიერი დახმარება. ასე გასინჯეთ საეპარქიო მგალობელთა გუნდის შენახვის საკითხიც კი არ იყო დატოვებული უყურადღებოდ. მის ხარჯში ესაჭიროებოდა 10.000 მ. ერთხმად დაადგინეს ეს სავალდებულოდ გაუხადონ სოხუმში არსებულ ფილარმონიულ საზოგადოებას. სხდომის დამთავრებისას კათალიკოზმა დიდი მადლობა გამოუცხადა ყველა დამსწრეთ და აღნიშნა, რომ ხელი-ხელ ჩართული საქმიანობით ბედნიერი უნდა გახდეს ჩვენი ქვეყანაო.

დილით ამავ დღეს კათალიკოზ-პატრიარქი ბრძანდებოდა დრანდის მონასტერში. აქ ბერებს გვიან გაეგოთ მათ უწმინდესობის განზრახვა და მომზადებულნი არ აღმოჩნდნენ. აქაც მეუფემ სიტყვით მიმართა და მცირე საუბრის შემდეგ დაბრუნდა ისევ სოხუმში. 23 ოქტომბერს, ხუთშაბათს სოხუმის საზოგადოებას გაემართნა ნადიმი, რომელზედაც მიწვეულ იქმნა მათი უწმინდესობა თავისი ამალით. ნადიმს დაესწრო მთელი აფხაზეთის მთავრობა და სოხუმის ინტელიგენცია. იყვნენ აფხაზეთის წარმომადგენელნიც. სუფრაზე წარმოთქმულ იქმნა ბევრი საგულისხმიერო სიტყვები, რომლის დედა აზრი იყო ის, რომ ეკლესია და საეკლესიო საკითხი ქართველ ერისათვის უბრალო, შეუმჩნეველი საკითხი არ არის და რომ ამას მთავრობაც ანგარიშს უწევს. გარკვევით გამოითქვა ისიც, რომ სამღვდელოება და განსაკუთრებით მისი ხელმძღვანელნი ყოველთვის სამშობლოს ერთგულნი ყოფილან და არიან დღესაც. ერთმა ადგილობრივ მთავრობას პირმა ისიც კი განაცხადა, რომ ქრისტიანული სარწმუნოება არის პროგრესიული სარწმუნოება და არა რეტროგრადული, როგორც ეს ზოგიერთს ჰგონია.

შაბათს, 23 ს ოქტომბერს, დილის 7 საათზე მათი უწმინდესობა უკვე გემში ჩაბრძანდა და წარემართა ფოთში, სადაც მის მეუფებას საზოგადოება დეპეშით სთხოვდა კვირისათვის წირვას. დაახლოვებით საათის პირველზე გამოჩნდა ფოთი. ბატონმა ანდრონიკაშვილმა მასაც განკარგულება მიზღვაურთ და რამდენიმე წუთის შემდეგ გემი „ტავრიდა“ დამშვენებული იყო სხვა და სხვა სახის ბაირაღებით, რითაც ამცნობდა ქალაქს ძვირფას სტუმრის მოახლოვებას. ნავთსადგურზე დიდძალი ხალხი დაუხვდა. იტლები მზათ იყო. მის უწმინდესობას საზოგადოების წარმომადგენლებმა სთხოვეს ტაძარში წაბრძანება. ქალაქი დამშვენებული იყო ბაირაღებით. ტაძრის უზარმაზარი ეზო სავსე იყო ხალხით. გზა ტაძრამდე ჰიმკარიდან მოფენილია ფოთლებით; მათ უწმინდესობას წინ უძღოდნენ მოსწავლე ბავშვები და ფეხთ უფენდნენ ვარდ ყვავილებს. კარებში სიტყვით შეეგება დეკანოზი ი. ბობოხიძე. გადახდილ იქმნა პარაკლისი, რომლის შემდეგაც დამსწრეთ მათმა უწმინდესობამ მიმართა გრძნობით სავსე სიტყვით. მეორე დღეს წირვას აუარებელი ხალხი დაესწრო. ამ დღესაც მსმენელთ უწმინდესმა ლეონიდმა სიტყვით მიმართა. ყველას ურჩევდა ერთგულად ემსახურონ სამშობლოს და ხელი შეუწყონ მთავრობას დამოუკიდებლობის გამტკიცებაში. აღნიშნა, რომ მთავრობის წარმომადგენელნი ჩვენივე სისხლ-ხორცნი არიან და თუ რაიმე შეცდომები მოსდით, ყველაფერი ჩვენგანვე აქვთ შეთვისებული. ამისათვის ყველაფერში ჯერ ჩვენი თავი უნდა გავამტყუნოთ, ჩვენ თვითონვე უნდა გავსწორდეთ და მერე მასვე მთავრობისაგან მოვითხოვდეთ. ყოველ შემთხვევაში ყოველ შეცდომას და ნაკლებულებას სულგრძელობით უნდა შევხვდეთ, რადგან ჩვენთვის ქვეყნის მართვა ახალი საქმეა.

დღის 3 საათზე დანიშნული იყო მათ უწმინდესობის პატივსაცემად სადილი. ოთახი საუცხოვოდ იყო მორთული. სტუმართა შორის აღმოჩნდა ისიდორე რამიშვილი, რომელმაც სადილზე მეტად საგულისხმიერო სიტყვა წარმოსთქვა. მოიგონა თავისი შეგირდობა და მათ უწმინდესობის აჩხანაგობა სემინარიაში. დაახასიათა კათალიკოსი წარსულში და გამოსთქვა აზრი, რომ იგი, როგორც თვითონაც ყოველთვის ერთგული მსახური, დაუღალავი მუშაკი იყო სამშობლოსი, რომ ორივენი ერთ საქმეს ემსახურებოდნენ, მხოლოდ სხვა და სხვა გზით. უფრო ეკლესიას გამტკიცება, განწმენდა და გამოსთქვა იმედი, რომ ისეთ ბრძენ და ერთგულ ხელმძღვანელის ხელში, როგორიც არის უწმინდესი ლეონიდი, ქართული ეკლესია უსათუოდ გაბრწყინდება, გასპეტაკდება. დასძინა ისიც, რომ ეკლესია შემდეგში უნდა გამოეყოს სახელმწიფოს, რომ იგი არავისგან დამოკიდებული არ იყოს, ხოლო ერთობა კი მას უნდა ინახავდეს ჩვენი მთავრობა. შინაარსიანი სიტყვა წარმოითქვა ქალაქის თავის თანაშემწის მიერაც. მან ისტორიულად აღნიშნა ეკლესიის ამაგი და მნიშვნელობა. ამავ სუფრაზე ჩამოვარდა საუბარი ფოთის დაუმთავრებელ ტაძრის შესახებ. მოიგონეს მისი ამშენებელი ნ. ნიკოლაძე და დიდის ენტუზიაზმით დასცალეს სასმური. შემდეგ ამისა მათმა უწმინდესობამ წინადადება მისცა ხელი მოეკიდნათ დაწყობილ კეთილ საქმისათვის. ერთხმად ყველამ განაცხადა თანხმობა და ბ-ნ მ. საბახტარიშვილმა პირველმა შესწირა ათასი თუმანი; მას მიჰყვნენ სხვანიც და სულ რამდენიმე წუთში შეგროვდა ათი-ათას ორასი თუმანი (102 000 მან.) აქვე შესდგა კომიტეტი, რომლის საპატიო თავმჯდომარედ სთხოვეს მათ უწმინდესობას, ხოლო თავმჯდომარედ აარჩიეს მ საბახტარიშვილი; სხვა შემომწირველნი წევრებად. ნადიმი დამთავრდა საღამოს 7 საათზე. ღამის 11 საათზე მათი უწმინდესობა დაბრუნდა თბილისში.

დ. დ—ლი.

# ბიბლიოგრაფია

**თესლი, მისი მნიშვნელობა მოსავლიანობისათვის და დამზადება. ხილნალის სამაზრო აგრონომის დ. სამადაშვილისა. ქ სიღნაღი ფ-სი 8 მ.**

ვინ არ იცის, რომ ჩვენი მეურნეობა დღეს ისევ პრიმიტიულ ყოფაშია. მამაპაპური გუთნები ისევ თვეობით უნდებიან მიწების მოხვნას, კალოები ხშირად თუ კარგი მოსავალია, სამი-ოთხი თვე უნდა გაგრძელდეს. მართალია, ბოლო ხანებში სოფლის თავკაცებს შეაქვთ ევროპიული მანქანები და იარაღები სოფელში, მაგრამ ამასაც ხელი შეუშალა ეხლა ომიანობის გამო გაწოწვეული უგზოობამ და საშინელმა სიძვირემ. ჩვენი გლეხი მაინც ჯიუტია. მას ჰგონია, რომ ეს მამაპაპური გუთანი აუცილებელია, რომ ევროპიულ მანქანებს შეუძლიან მოსავალი დაჰპაროს.

ეს უვიცობა და ცრუმორწმუნოება ჰღუპავს ჩვენს მეურნეობას. უვიცობა კი ჩვენი გლეხისა მეტად დიდია. აიღეთ მაგალითად თესლის შერჩევა. ჩვენმა გლეხმა იცის, რომ „რასაც დასთეს, იმას მოიმკიო“. მაგრამ პურის თესვის დროს ეს ავიწყდება და სთესავს, შერიითა და ათას მარცვლეულს შერეულ თესლს. მე მგონი, ახლა კი დროა, რომ არა თუ ურჩევით, პირობით ძალა დავატანოთ, რათა მივაღებინოთ მეურნეობის კულტურა.

მემკვიდრეობა, ცვალებადობა და შერჩევა ჯიშებისა—ეს სამი მოვლენა უნდა ახსოვდეს ჩვენს მეურნეს და ამ აზრებით უნდა შეუდგეს საქართველოს ნაყოფიერ მიწების დამუშავებას.

ამ ნაკლს ჩვენი მეურნეობისას დიდ ყურადღებას აქცევენ ჩვენი სამაზრო აგრონომები და ახლავე მოკლე ბროშიურებს სცემენ. აიღეთ გინდ ბ-ნ სამადაშვილის წიგნაკი. რა მსუბუქად და რა გასაგებად განმარტავს იგი თესლის აგებულებას, თესლის დამზადებას, შენახვას, გაწმენდას და შერჩევას. წიგნაკში მრავალი რჩევაა, რომ უნდა დაითესოს მხოლოდ სუფთა თესლი. ამასთან მსხვილი და მძიმე, კარგი ფერისა, კარგი სუნისა, რომ გადაფშუტებული და მატრობელა არ შეჰყვეს თესლს, უნარიანი და საღი თესლი კი კარგ მოსავლით აავსებს ჩვენს სამშობლოს ათას გაჭირვებას.

ავტორის სამუსაიფო ენა და კილო სრულიად შეეფერება ამ წიგნაკის მიზანს. წიგნაკი სუფთად არის გამოცემული. ჩვენ ვისურვებდით, რომ ამგვარი წიგნაკები ბევრი გადიოდეს ჩვენს პროვინციაში და სამაზრო აგრონომებს სამისო მუშაობა გაეცხოველებინოთ.

ოშკელი.

# ფარვანა.

ორმოქმედებიანი დრამა

(დასასრული)

**ხალხში** (აქეთ-იქიდან) რევია მოღალატე, ანგელოზია! რევია მოღალატე, ანგელოზ!

**ხალხიდან ერთი.** ზურგის მტერია და უნდა დავსაჯოთ.

**ხალხში** (აქეთ-იქიდან) ზურგის მტერია, ზურგისა.

**ფარვა** (გადინაცვლებს დაჭრილებისაკენ. დახედავს ერთსა) საცოდავი! რა ღრმა ჭრილობა აქვს! (ახლო მდგომთ) ასწიეთ ერთი ეს საცოდავი ტაძრისაკენ გადავიტანოთ. იქ ხალვათობაა.

**ხალხიდან** (დაჭრილზე უთითებს) აბა? მაგისი ცოდო განა უნდა შერჩეს რევსა.

(ასწევენ ფარვანას ნაჩვენებ დაჭრილს და ტაძრისაკენ გადააქვთ ფარვანა დაჭრილის მოვლას შეუდგება. საკრებულოდან გამოდიან რჩეულნი. თან რევი გამოჰყვებათ).

**ხალხში** (აქეთ-იქიდან) აი მოღალატე! მოღალატე! ჩავქოლოთ! ჩავქოლოთ!

**რევი** (ფარვანას თვალს მოჰკრავს. თავისთვის მწარედ) აი სად მომკითხა ფარვანას წყენა უფალმა.

**1-ლი რჩეული** (ალხს) მოისმინეთ, ხალხო! რჩეულთა კრებულმა გაარჩია ის მძიმე ბრალი, რომელიც რევს, თქვენს მამასახლისს, დასდეს. კრებული გაუწყებთ ჩემის პირით, რომ რევი მოღალატე არ არის!

**დარი** (რჩეულთ) რა? მოინადირა თქვენი გული? ტყუილად ცდილობთ. მოღალატეა.

**ხალხში** (აქეთ-იქიდან) მოღალატეა, მოღალატე [illegible]

**მე-2 რჩეული.** არ დაგანებებთ.

**დარი.** ძირს არ ჩამოვა? სულ ბაქანზე ხომ არ იქნება.

**მე-2 რჩეული.** ფეხსაც არ მოვაცილებინებთ.

**დარი.** სახლს აუოხრებთ. ცოლშვილს აი აქ მოვიყვანთ და თვალწინ დაუკლავთ, თუ ბაქნიდან არ ჩამოვა.

**1-ელი რჩეული.** ცოლ-შვილმა რა დაგიშავათ?

**დარი.** თუ არ ჩამოვა, ასე ვუზამთ.

**ხალხში** (აქეთ-იქიდან) ასე ვუზამთ, ასე ვუზამთ!

**დარი.** მივესიოთ, ხალხნო, მაგის სახლს (მიდის აივნიან სახლისაკენ ხალხი უკან მიდევნება).

**ყველანი.** სახლი დავუნგრიოთ, სახლი! (მისცვივიან ალაყაფის კარებს).

**ფარვანა.** (დაჭრილს თავს ანებებს) რა ამბავია? რამ გადარია ამოდენა ხალხი. საცოდავმა ცოლშვილმა რა დაუშავავთ? ოოჰ! ზეციერო ჩამაგონე, რითი მოვულბო ამ ხალხს გული?

(ფარვანა აივნიან სახლისაკენ გაემართება. რევიც, როცა დაინახავს რომ ხალხი აღარა ხუმრობს. ბაქნიდან ჩამოსვლას დააპირობს, მაგრამ რჩეულნი არ გამოუშვებენ).

**რევი.** გამიშვით! რაღათ მინდა თავი ცოცხალი, თუკი ცოლ შვილს ამომიხოცავენ?

**მე 3 რჩეული.** რისა გეშინიან, მამასახლისო? მახარეს სახლი მკვიდრია, ფულაბით ნაგები. უხეში ძალა ვერას დააკლებს. აივანიც მაღლაა დამშვიდდი. იშფოთებს, იშფოთებს ბრბო და დაწყნარდება.

**რევი.** კიბეებს მოიტანენ და ისე ავლენ. გამიშვით (მიიწევს) ან რაღათ მინდა თავი ცოცხალი, თუ მოღალატის სახელი სამუდამოთ ზედ შეკერება?

(რჩეულნი რკალად შემოერტყმიან. ამ დროს აივანზე გამოდის. დარა ბავშვით).

**დარი.** ეგერონ გამოვიდა. ისარი [illegible]

ლოლატეა? მჯერა, ხალხი ამბობს: ხმა ღვთისა ხმა ერისაო, ნათქვამია, მაგრამ მახარეს ასულმა რა დაგიშავათ. მამაჩემის, ახრდილი გიბრძანებთ ხელი არ ახლოთ მის ბინასა, მე თვარს ვამბობ მოღალატის ცოლობაზედა. პირველი მე მივაგდებ, თუ საჭირო იქნება, ქვასა.

**რევი.** (თავზარ დაცემული) ზეციერო! ცოლმაც, ცოლმაც დაიჯერა ჩემი ღალატი! (რჩეულთ) რაღას მაკავებთ? განა სიკვდილი არ მირჩევნია?

**1-ელი რჩეული.** სამაგიეროდ ჩვენ გვჯერა, რომ შენ მოღალატე არა ხარ. ხალხს დავამშვიდებთ. შენი ცოლიც გულს მოიბრუნებს შენკენ.

(ხალხი თავს ანებებს აივნიან სახლს და ისევ საკრებულოს უბრუნდება. ფარვანაც თან მოჰყვება. გარინდე ბულია).

**დარი.** ხალხნო რჩეულნი არ გვანებებენ მოღალატეს. თუ აგრეა, წავიდეთ და მაგით ოჯახები დავაწიოკოთ (რჩეულთ) ან გამოუშვით მოღალატე, ან კიდევ თქვენ ცოლშვილს გამოეთხოვეთ.

**მეტი.** (წათამამებული ფარვანას უმოქმედობით) რომ ხედავთ არ გვაქვთ! რაღას ელით? წავიდეთ ავუწიოკოთ, ამოვუხოცოთ!

**ხალხი.** წავიდეთ! წავიდეთ!

**1-ელი რჩეული.** რა გაეწყობა, თუ კი ცოლშვილის ამოწყვეტით გვემუქრებიან, მოდი და ნუ გადიბან ხელსა (სცილდება რევსა).

**მე 2 რჩეული.** ვერც მე გავიმეტებ ცოლშვილსა.

მე-2 რჩეული და დანარჩენებიც სცილდებიან რევს. რევი ჩაირბენს კიბეს და ხალხის წინ გაჩერდება. ხალხი ჯერ უკან დაიხევს და ცეტახხით შეჩერდება. არ იცის როგორ მოიქცეს).

**რევი.** ნუ მქანჯავთ ლოდინით! რაღას უყურებთ? გამათავეთ!

**მეტი.** (ხმალის ქნევით ხალხს). დრო არის. ნულარ გვყოვნებთ! მოვსპოთ [illegible]

ჯავს ხელიდან ხმალსა, და რევს ამოუდგება გვერდით) აბა გაბედეთ მოახლოვება! (ხალხს თვალებ ანთებული უცქერის. ყველანი განცვიფრებულნი უცქერიან)

**რევი** ფარვა, რას სჩადი? ვისთვის იწირები. მე არ ვიყავი, რომ ხელი ავიღე შენზე?

**ფარვა** (ხალხს) იცოდეთ, თუ რევს დაემართა რამე, ზედ შეგაკვდებით!

**მეტი.** როგორ გაბედე ფარვა? რევი მოღალატეა!

**ხალხიდან.** ჩვენი კეთილი ანგელოზი რევს ამოუდგა გვერდით!!.

**დარა** (გაცხარებული) მოღალატის მომხრე, მოღალატეა! (დაჰკრავს ფარვანას ხმალს გვერდში და მძიმედ, სასიკვდილოდ დასჭრის, მაგრამ შეკრთება თავის საქციელით და უკან დაიხევს).

**ფარვანა** (დაკოდილი წაბარბაცდება, მაგრამ რევი ხელს შეაშველებს და დაიჭერს) ხალხო, ჩემს გულს დაუჯერეთ... რევი მოღალატე არ არი!

(ხალხი გაშტერებულია).

**მეტი.** (თავზარდაცემული უკან უკან იწევს) ფარვა დასჭრეს, ფარვა! ფარვა მიკვდება! რაღათ მინდა ამდენი აურზაური?

**ხალხიდან.** ხალხო, რაღათ გვინდა თავი ცოცხალი? თუ ფარვანა არ გვეყოლება? ფარვას ღალატი ვისგან თქმულა?

**ხალხიდანვე.** სჩანს რომ რევიც არ არის მოღალატე, თუ კი ჩვენი კეთილი ანგელოზი გამოესარჩლა!

**ფარვანა.** (მომაკვდავის ხმით) ჩემს გულს დაუჯერეთ... მკვდარი იყო და გაცოცხლდა... ასე მითხრა: რევი არ არის მოღალატეო გირჩევთ, გაიძღოლოთ წინ გმირი სარდალი და მტერს დაუხვდეთ, თორემ ცუდი დღე მოვალით.

**რევი.** ოჰ, ფარვა, ფარვა! რა ჰქენი, რა ჰქენი ესა?

(დარი გაქცევას დააპირებს)

**ხალხიდან.** სად მიხვალ სად? განა [illegible]

(იქირენ მეტის).

**მეტი.** არსად წავიდეთ. რითი მინდა სიცოცხლე, თუ კი ფარვა აღარ იქნება?.. მე მეტსაც ვიტყვი: რევი არ არის მოღალატე. ფარვას გულმა მართალი იგრძნო. რევს მე ვუმტრე. ფარვა მიყვარდა... ფარვა კი რევს არ ივიწყებდა... მინდოდა რევისთვის სახელი გამეტეხა, ფარვას თვალში დაცემულიყო... მტერსაც მე გავუმჟღავნე ყველაფერი...

**ხალხიდან.** გესმით, რას ამბობს ეს სინდისზე ხელაღებული! ავკუწოთ, ხალხნო!

**ხალხში.** (აქეთ-იქიდან) ავკუწოთ, ავკუწოთ!

(ფარვა რევს რაღაც ანიშნებს).

**რევი** ხალხნო, შესდეგით! ფარვანამ სიტყვა უნდა გითხრათ. რას იტყვი ფარვა? აბა, აბა, სთქვი! (გაფრთხილებით და სიყვარულით თავს წამოუწევს).

**ფარვანა.** ხალხნო, მშვიდობით!... გაიძღოლეთ რევი წინ... ქალაქი დაიცავით... (რევს) შუბლზე მაკოცე..

(რევი ჰკოცნის. ფარვანა სიამოვნებით გაიღიმებს და სულს დალევს).

**რევი.** (ხალხს) ხალხნო, ანგელოზი აღარა გვყავს? (ფარვანას გვამს), მომიტევე, მომიტევე!... (ხალხს) ხალხნო, დაანებეთ (მიუთითებს მეტზე და დარზე) თავი მაგ უბადრუკებს! იცოცხლონ მოძულებულთ. შეიარაღდით... აცნობეთ აქ არ მყოფთაც, თქვენ მიგაბაძონ... გავსწიოთ ქალაქის დასაცავად!

**ხალხი.** (აქეთ-იქიდან) შევვიარაღდეთ! შევვიარაღდეთ! ქალაქი დავიცვათ! ფარვანას ანდერძი ავასრულოთ!

**რევი.** (ასწევს მაღლა გვამსა) ვფიცავ ამ გვამის უკვდავ სახელს, რომ ჩვენზე ჰოსულს მტერს ბედს ვაწყევლინებთ (გვამსა). ჩემი გული, ფარვა, საუკუნოდ შენ შეგიძულდა. ავასრულებ შენს ანდერძს და თან მოგყვები. მტერზე გამარჯვების ამბავს მოგიტან. (ამბორეჟა).

(ფარდა).

ი—ბანი.

დაიბეჭდა და დაურიგდა გასასყიდად ქუთაისში: მთავრიშვილის მაღაზიაში. თბილისში: წერა-კითხვის გამავრც. საზოგ. მაღაზიაში.

ქართული წერის დედანი
ს. დათეშიძისა
2595 12—6

# მიმოსვლა
## სახალხო მატარებლებისა ს. ს. რკ. გზ.

**გადის თბილისიდან.**

| | | | |
|---|---|---|---|
| ფოთში | № 21 | ღამ. | 12 ს. 5 წ. |
| ქუთაისში | № 10 9 | სალ. | 8 ს. 1 წ. |
| ბათომში | № 5 | სალ. | 5 ს. 4 წ. |
| ფოთში | № 3 | დილ. | 9 ს. 56 წ. |
| ბათომში | № 1 | ღამ. | 11 ს. 30 წ. |

**მოდის თბილისში**

| | | | |
|---|---|---|---|
| ბათომიდან | № 2 | დილ. | 7 ს. — |
| ფოთიდან | № 4 | სალ | 8 ს. 45 წ. |
| ბათუმიდან | № 6 | შუად. | 12 ს. 10 წ. |
| ქუთაისიდან | № 11,12 | დილ. | 9 ს. 30 წ. |
| ფოთიდან | № 22 | დილ. | 6 ს. 06 წ. |

**თბილისი-სალოღლი**

**გადის სალოღლში**

| | | |
|---|---|---|
| № 8 | საღამოს | 6 ს. 5 წ. |
| № 6 | შუადღის | 2 ს. 32 წ. |
| № 4 | საღამოს | 9 ს. 50 წ. |

**მოდის სალოღლიდან.**

| | | |
|---|---|---|
| № 3 | დილის | 7 ს. 27 წ. |
| № 5 | ნაშუად. | 3 ს. 5 წ. |
| № 7 | დილის | 11 ს. 52 წ. |

**თბილისი-ქსანი გორი-ბორჯომი.**

**გადის**

| | | |
|---|---|---|
| № 63 | შუადღის | 2 ს. 40 წ. |
| № 61 | დილის | 7 ს. 52 წ. |
| № 19,20 | შუად. | 3 ს. 26 წ. |

**მოდის:**

| | | |
|---|---|---|
| № 19,20 | დილ. | 6 ს. 30 წ. |
| № 62 | დილ. | 11 ს. 24 წ. |
| № 64 | სალ. | 8 ს 4 წ. |

**თბილისი-სანაინი**

**გადის:**

№ 4,3 ს. შუად, 1 ს. 40 წ.

**მოდის:**

№ 4,3 ს. დილ. 11 ს. 30 წ.

**შენიშვნა 1.** მ. მ. №№ 21 და 22 დანიშნულება არის სამგზავრო სისწრაფის გადასაზიდები და მალე წასახდენი საქონლის.

**შენიშვნა 2.** მ. მ. №№ 61, 62, 63, 64 იმოძრავებენ თბილისისა, ქსნისა და გორის შუა: 1 წყვილი ივლის უქმე და კვირა დღეებში, 2 წყვილი უქმე და უქმის წინადღეებში.

დოქტორი მედიცინისა
მოსე ანთიმოსის ძე
ასლანდარიშვილი
უფროსი ექიმი თბილისის სამხედრო სკოლისა. ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9 ს-მდე და საღამოს 5—7 საათ. მდე ოლღას ქ. 3., ტელეფონის № 17-21.

მედიცინის დოქტორი
გ. ა. ახვერდოვი
ყოფ. ორდინატორი პეტროგრადის ვენერიულ კლინიკისა იღებს ავადმყოფებს დილ. 10—12 საათ., საღამოთი 5—7 ნახ. 1-მდე სპეციალად ვენერიულ, კანის და სიფილისით ავადმყოფებს. (914 და 606-ის შეშხაპუნება) გადავიდა ახალ ბინაზე მიხეილის ქუჩა № 7 ვორონცოვის ძეგლთან, შესავალი კუთხიდან ეკლესიის ქ. № 1.
50—2559—1

საექიმო კაბინეტი
ექ. ა. სულაშელაშვილისა
მიიღებიან: ვენერიული, კანის, სიფილ. და სხვა გვარ სნეულებანი ავათმყოფები სასქესო და საშარდე ორგანოთა (606 და 914 წამლობა) მიხეილის საავათმყოფოსთან, ფოსტის ახლოს პლეხანოვის (№ 55) და ბელგიის (№ 1) ქუჩების კუთხე საღამოს 6—7 ნახევარ. საათ 25—2536—1

მედიცინის დოქტორი ბერლინის უნივერსიტეტისა
გ. გ. მეგრაბიანი
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო-წამლობის კაბინეტში, გასინჯვა და წამლობა X ს სხივებით დიდი სალენოიდი და . ისევლის ჭლექით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 8 — საათამდე და საღამოს 6-9 საათამდე ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7-92.

ხამკურნალო კაბინეტი ექიმის
ალექსანდრე დავითის ძის
ქავთარაძე
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავადმყოფებს (914-ს და 606 შეშხაპუნება). ავადმყოფთა მიღება დილის 10 საათ. 11 საათ. და საღამოს 6 [illegible] № 116, [illegible] ტელეფონი 14—28.